ინფორმირებულობა

თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის კულტურა დემოკრატიული კულტურის ხელშეწყობას ემსახურება

მზადება

გამოწვევებთან გამკლავება

მოქმედება

თქვენი სკოლა - შემსწავლელთა საზოგადოება

სწავლა

სწავლა

სწავლა

სკოლებს გაცილებით დიდი მისია აკისრია, ვიდრე მოსწავლეებისათვის ცოდნის გადაცემა და მათი უნარების განვითარებაზე ზრუნვა. სკოლა, ასევე, წარმოადგენს პირველ დაწესებულებას, რომელთანაც მოსწავლეებს შეხება აქვთ ადრეულ ასაკში, და აგრეთვე საზოგადოებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს შორის სოციალიზაციას და გავლენას ახდენს მათ დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე - ისევე როგორც სკოლის პერსონალის დამოკიდებულეებსა და ღირებულებებზე. სკოლაში, მოსწავლეები დროის უმეტეს ნაწილს საკლასო ოთახებში ატარებენ, მასწავლებლებთან და თავიანთ თანატოლებთან ერთად. მაშასადამე, თუ თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, გსურთ თქვენი სკოლა უფრო დემოკრატიული გახდეს, მნიშვნელოვანია ყურადღება გაამხვიოთ იმაზე, რაც საკლასო ოთახებში მიმდინარეობს, მოსწავლეებისა და მასწავლებლების მონაწილეობით.

როგორც სკოლის ხემლძღვანელი, თქვენ არ უნდა ჩაერიოთ მასწავლებლების კომპეტენციაში იმ მიმართულებით, რითაც ისინი გაკვეთილების დროს არიან დაკავებული, ზოგიერთ ქვეყანაში ამგვარი ჩარევა აკრძალულიც კი არის. საუკეთესო ვარიანტში, თქვენი სკოლის მასწავლებლები სათანადოდ არიან მომზადებული იმისათვის, რომ მოსწავლეთა გამხნევებით უზრუნველყონ მათი ჩართვა და მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, და საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა კლასის საზოგადოების სწორ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. მასწავლებელთა თანახმად, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, ამ ყველაფერს ისინი მარტო და დამოუკიდებლად აკეთებენ, თუ დარწმუნებულები არიან, რომ სკოლის ხელმძღვანელი არამარტო იწონებს მათ დემოკრატიულ მიდგომას, არამედ ასევე მზად არის მხარი დაუჭიროს მათ, მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით. სკოლის ფარგლებში დემოკრატიის შესახებ სწავლა საჭიროებს ჰოლისტიკურ მიდგომას, რაც გულისხმობს, თუმცა არა მხოლოდ, ინიციატივების შეტანას ზოგიერთ ან ყველა კლასში. მასწავლებლების საჭიროებენ შესაძლებლობებს, საკუთარი გამოცდილების გასაანალიზებლად და გასაზიარებლად და, აგრეთვე ახალი მოსაზრებებისა და იდეების მისაღებად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლის დემოკრატიული საზოგადოება შემსწავლელთა საზოგადოებას წარმოადგენს. წინამდებარე ნაწილში მოცემულია მოსაზრებები და ინსტრუმენტები, რომლებიც განკუთვნილია სკოლების ხემლძღვანელებისთვის და რომელბიც დაეხმარება მათ იმ ღონისძიებათა ინიცირებასა და კოორდინირებაში, რომლებიც სკოლის დემოკრატიული გზით განვითარებას ემსახურება, და ასევე დაეხმარება მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ და ხელი შეუწყონ სკოლის სვლას დემოკრატიისკენ.

.

სწავლა

სწავლასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზრუნვა სკოლის ხელმძღვანელის მოვალეობაში შედის. შეიძლება იგივე ითქვას სწავლებაზეც?

თქვენ ბევრი ადამიანი გაკითხავთ, ზოგს თქვენი რეკომენდაცია სჭირდება, ზოგს - რჩევა, ზოგსაც - პასუხი კითხვაზე. თუ სკოლაში რაიმე პრობლემამ იჩინა თავი, თქვენ ხშირად უმკლავდებით მას. თქვენ პასუხისმგებელი ხართ სკოლის ორგანიზებაზე; გსურთ საუკეთესო შედეგები გქონდეთ; თქვენ მართავთ სკოლას; ამგვარად, რასაც არ უნდა აკეთებდეთ, ყველაფერი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სკოლაში მიმდინარე სწავლებისა და სწავლის პროცესზე.

ფარული თუ აშკარა კამათი მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს სკოლაში სწავლებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე. მაგალითად, წარმოადგენს სწავლება საკრალურ მოვლენას, რომელიც ექსკლუზიურად საკლასო ოთახში მიმდინარეობს და მხოლოდ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას გულისხმობს? აქვს რაიმე საერთო სხვადასხვა საგანს, განსაკუთრებით საგნებს, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა სფეროს ეხება, ღირებულებებზე ორიენტირებულ საგნებს და, ვთქვათ, ფიზიკურ აღზრდას? აქვს რაიმე საერთო იმ მოვლენებს, რომლებიც საკლასო ოთახში, ლაბორატორიაში და სკოლის ეზოში მიმდინარეობს? ხომ არ იქნებოდა უმჯობესი სკოლის ხელმძღვანელი ადმინისტრაციული საქმეებით დაკავებულიყო და სწავლების ასპარეზი პედაგოგებისათვის დაეთმო?

იმისდა მიუხედავად, რომ თითქმის მთელ მსოფლიოში, სასკოლო კანონები და რეგულაციები ემსახურება ცოცხალი და დემოკრატიული სწავლების მიზნებს, ასევე, მიუხედავად პედაგოგიკასა და დიდაქტიკაში მომხდარი ევოლუციისა, რომელიც აღწერს გზას ავტორიტარული სწავლებიდან თანამშრომლობით სწავლამდე, დღევანდელ სკოლებში ვხვდებით სწავლების თითქმის ყველა სახეს, დაწყებული სწავლებით, რომელიც ეფუძნება დებულებას იმისა, რომ სწავლება არის ცოდნის გადაცემა, დამთავრებული სწავლებით, რომლის ამოსავალსაც წარმოადგენს დებულებას, რომ სწავლება მრავალფფაქტორულ პროცესს წარმოადგენს.

თუმცა, როდესაც საქმე დემოკრატიის სწავლებას ეხება, იგი არა მხოლოდ ცოდნის გადაცემას გულისხმობს, არამედ მის პრაქტიკაში გამოცდასა და გამოცდილების შეძენასაც. მაშასადამე, სწავლისთვის გამოყოფილი დრო, რომელიც ძირითადად სკოლაში გატარებულ დროს გულისხმობს, მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს და სკოლის ხელმძღვანელის როლი უმნიშვნელოვანესია დემოკრატიის სწავლების საქმეში.

.

.

სწავლა

რას, რატომ, რისთვის და როგორ ვსწავლობთ, ზემოქმედებას ახდენს მოქალაქეების მიერ საზოგადოებაში საკუთარი თავის აღქმაზე

სკოლა ის დაწესებულებაა, სადაც მოსწავლეები მომზადებას გადიან რათა მომავალში პირნათლად შეასრულონ საკუთარი როლი, როგორც მოქალაქეებმა, და გადაწყვეტილების მიღებაზე პასუხისმგებელმა პირებმა. გარდა ამისა, სკოლა არა მხოლოდ მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების ადგილს წარმოადგენს, არამედ წარმოადგენს ადგილს, სადაც ცხოვრება რეალურად მიმდინარეობს. მას შემდეგ, რაც პედაგოგები და მოსწავლეები ამ ფაქტს გააცნობიერებენ, სკოლის ხელმძღვანელმა უნდა მიიღოს გამოწვევა და გაუძღვეს მათ სწორ გზაზე.
კითხვები, თუ რას, რატომ, რისთვის და როგორ ვსწავლობთ, საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს ის კითხვებია, რომლებსაც პასუხი უნდა გასცენ პრდაგოგებმა და მასწავლებლებმა, როდესაც ეძებენ მოსწავლეების განათლებისთვის საუკეთესო პირობების შექმნის გზებს. ამგვარად თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელი, და განსაკუთრებით მასწავლებლები, რომელთა მიზანსაც წარმოადგენს მოსწავლეების ხელშეწყობა, რათა მათ, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, საუკეთესო შედეგები ჰქონდეთ, ირჩევთ მოსწავლეებზე ორიენტირებულ მიდგომას. რას ნიშნავს ეს?

შეფუთული ყუთი საჩუქრით

სასკოლო წლის დასაწყისში, ყველა მასწავლებელს ხელში შეფუთული ყუთი უჭირავს საჩუქრით. ყუთში, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ მოთავსებულია სასწავლო პროგრამა ან სახელმძღვანელო, რომლებიც მასწავლებლებმა საკუთარ მოსწავლეებს უნდა გადასცენ, ე.ი. ასწავლონ, და რომელიც მოსწავლეებმა უნდა მიიღონ და შეისწავლონ. ყუთში გარკვეული დოზით მეცნიერებების პატარ-პატარა ნაწილებიც არის მოთავსებული. განათლების სამინისტრომ ან ადგილობრივმა ხელისუფლებამ იზრუნა მისი შინაარსის განსაზღვრასა და შედგენაზე, ამჯერად მასწავლებელმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეფუთოს და მოამზადოს იგი, და როგორ გადასცეს იგი მოსწავლეებს, და ამასთან მიაწოდოს მათ ამ ყუთის გახსნის ინსტრუქცია. მიუხედავად იმისა, რომ ყუთებში მოთავსებული საჩუქარი იდენტურია, მასწავლებლებს შეუძლიათ უამრავი საინტერესო გზა მოიფიქრონ მისი ყუთში მოთავსებისთვის. მათ შეუძლიათ საკუთარი იმპროვიზაციის უნარიც კი ჩართონ და ყუთში შიგთავსი თავისი შეხედულებისამებრ განალაგონ, ყუთი შეფუთონ და მორთონ ისე, როგორც მათ სურთ, გადასცენ იგი მოსწავლეებს ისე, როგორც

მათ სურთ და ყუთის გახსნის საკუთარი ინსტრუქციაც კი მოაყოლონ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პროცედურა - რომელიც სწავებისა და სწავლის პროცესს გულისხმობს - წლიდან წლამდე მეორდება, თითოეული ეტაპის გახორციელების იმდენი განსხვავებული გზა არსებობს, რომ მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობა ყოველ ჯერზე ახალი და განსხვავებული შეიძლება იყოს.

რა მნიშვნელობა აქვს საჩუქრის შეფუთვას?

შეფუთული ყუთი თავისთავად საინტერესოა, და იგი კიდევ უფრო საინტერესო ხდება, როდესაც ყუთის მიმღებს მოსწონს იგი. როდესაც საჩუქარს ვარჩევთ, ჩვენ ვითვალისწინებთ ან ჩვენს ინტერესებს, ან იმ პირის ინტერესებს, ვისთვისაც არის განკუთვნილი საჩუქარი. იმისდა მიხედვით, თუ რა არჩევანს აკეთებს პირი, რომელიც საჩუქარს გასცემს, საჩუქარი ან სიხარულს ანიჭებს მიმღებს ან მის იმედგაცრუებას იწვევს. მასწავლებლების ხელშია სრულად იმის უზრუნველყოფა, რომ საჩუქარი სასიამოვნო და სასარგებლო აღმოჩნდეს მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები თავისი სფეროს პროფესიონალები არიან და, საკუთარი გამოცდილებით, მათ ბევრი რამ იციან მოსწავლეების საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ. ცნობისმოყვარეობა ადამიანის ბუნებრივ მახასიათებელს წარმოადგენს. ცივილიზაციის ევოლუციაც სწორედ ცნობისმოყვარეობის საშუალებით გახდა შესაძლებელი. თუ მასწავლებლები ახერხებენ მოსწავლეებისათვის საკუთარი საგნის ისე წარდგენას, რომ მოსწავლეებმა იგრძნონ, რომ მათ ბევრი რამის აღმოჩენა შეუძლიათ, ყუთის გახსნის პარალელურად, ჩვენი ალეგორიის მიხედვით, და თუ მასწავლებლები შეძლებენ მოსწავლეებში ცნობისმოყვარეობის აღძვრას ყუთის შიგთავსის მიმართ, ამით ისინი მოსწავლეებს ეხმარებიან იმაში, რომ მათი ინტერესები პირადი ინტერესების ფარგლებს გასცდეს და ხედვა გაფართოვდეს და მოიცვას სფეროები, რომლებიც მათი ცხოვრების ჩაკეტილ წრეს სცდება.

როგორ ვიღებთ საჩუქარს?

მიუხედავად იმისა, შეფუთულ საჩუქარს მარტო ხსნი თუ სხვებთან ერთად, მისი გახსნის სხვადასხვა გზა არსებობს. ზოგი ინსტრუქციას უნდა გაეცნოს, სანამ მას შეეხება, ზოგი გარშემომყოფთა მოსაზრებებს ისმენს და ითვალისწინებს, ხოლო მესამე კატეგორია არც ინსტრუქციას საჭიროებს და არც გარშემომყოფთა რჩევებს, ისინი თავად სწავლობენ საჩუქარს, ეხებიან მას, ათვალიერებენ. ნებისმიერ ვარიანტში, ეს პროცესი მინიმუმ ორი პირის მონაწილეობით ხორციელდება, ესენია, ის, ვინც საჩუქარს გადასცემს, და ის, ვინც საჩუქარს იღებს, თუმცა, თავად ეს პროცესი გაცილებით ბევრ ადამიანზე ზემოქმედებს, მათზე, ვინც გარშემო იმყოფება. ფაქტობრივად, ეს პეპლის ეფექტს ჰგავს, დედამიწის სამხრეთით პეპელა ფრთებს დაიქნევს და ამან შესაძლებელია ქარიშხალი გამოიწვიოს დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. ეს სოციალური ფენომენია. ყუთში მოთავსებული საჩუქრის სათანადოდ გამოყენება რიგ კომპეტენციებს საჭიროებს, მათ შორის საჩუქრის რაობის შესახებ ცოდნას, მისი მახასიათებლების ცოდნა-გააზრებას და, აგრეთვე, მეთოდების ფლობასა და უნარებს, რომლებიც დაგეხმარებათ სათანადოდ წარადგინოთ იგი და იმსჯელოთ მასზე, ასევე პასუხისმგებლობას, რომელიც წარმოიშვება ყუთის შიგთავსის საკუთრებაში მიღებისა და გამოყენების შედეგად.

საინტერესოა, რომ შეფუთული ყუთის შიგთავსი შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ მათი დანიშნულება ძირითადად ერთია. კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ეს პროცესი უმნიშვნელოვანესია მოსწავლეთა თვითშეფასების ამაღლებისა და საზოგადოებაში საკუთარი როლის გაანალიზების თვალსაზრისით. და რაც ყველაზე საინტერესოა არის ის, რომ სკოლის ხელმძღვანელი წარმოადგენს პირს, რომელიც მთელს ამ საზეიმო ღონისძიებას უძღვება, რადგან ეს ეხება ზოგადად მასწავლებლის პროფესიას, მიუხედავად მასწავლებელთა განსხვავებული პროფილებისა.

სწავლა

სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ - ერთიანი სასკოლო მიდგომა

სკოლის დირექტორის ფუნქციები შესაძლებელია განსხვავებული იყოს სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა ის გზა, რომელიც საუკეთესოდ უზრუნველყოფს სწავლას, ყველგან ერთია. თანამშრომლობის საფუძველზე და თანატოლთა მხარდაჭერით სწავლა, ე.ი. როდესაც მასწავლებლები სწავლობენ სხვა მასწავლებლებისაგან, არა მხოლოდ თქვენს სკოლაში სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება, არამედ სკოლის განვითარებისათვის საჭირო რესურსების გაუმჯობესებასაც. ეს პროცესი თქვენს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომელიც გულისხმობს მასწავლებლების ჩართვას ინიცირების პროცესში და, თქვენი მხრიდან საორგანიზაციო საკითხების მოგვარებასა და მხარდაჭერას.

დემოკრატიულ საზოგადოებას განათლებული მოქალაქეები ქმნიან

ჩვენი მზარდად კომპლექსური და დინამიკური საზოგადოებები საჭიროებს იმას, რომ სკოლაში, როგორც საკლასო გარემოში ასევე მის ფარგლებს მიღმა, წარმოებულ ნებისმიერ სასწავლო აქტივობას საფუძვლად ედოს სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. განათლების დონე, რომელიც დღევანდელ ახალგაზრდებს ესაჭიროებათ, გაცილებით ბევრს გულისხმობს, ვიდრე წერის, კითხვისა და მიმატება-გამოკლების უნარებს. განათლება, რომელსაც დღევანდელი ახალგაზრდები უნდა ფლობდნენ, მოიცავს:

- მსოფლიოს უკეთ აღქმა-გააზრებას;
- ლოგიკურ, კრიტიკულ და შემოქმედებით აზროვნებას;
- აბსტრაქტულის კონკრეტულთან დაკავშირების უნარს;
- აბსტრაქტული ცნებებისა და სიმბოლოების აღქმის უნარს;
- ფაქტებისა და კვლევების შედეგად გაკეთებული დასკვნების ინტერპრეტირების უნარს;
- დამოუკიდებლად სწავლისა და თანამშრომლობის საფუძველზე სწავლის უნარს;

ერთი სიტყვით, იგი გულისხმობს ფუნქციურ წიგნიერებას.

დემოკრატიულ საზოგადოებებს ქმნიან განათლებული და კომპეტენტური მოქალაქეები. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ მოიცავს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპეტენციას და, ასევე იმ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც დემოკრატიის კულტურას ქმნის. იხ. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები.

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც ერთიანი სასკოლო მიდგომა

წიგნიერება სცდება კონკრეტული მეცნიერების დარგისა და მის შესახებ ცოდნის ფარგლებს და აერთიანებს ყველა მეცნიერების დარგს და მათთან დაკავშირებულ ცოდნას. უფრო მეტიც, იგი ქმნის საერთო საფუძველს, რომელიც გამოკვეთს თითოეული აკადემიური საგნის დანიშნულებასა და მიზნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა უკეთ მომზადებას იმ გამოწვევებთან გასამკლავებლად, რომლის წინაშეც ისინი დღეს დგანან ან მომავალში აღმოჩნდებიან. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ეხმიანება ჩვენ საზოგადოებებში არსებულ ზოგიერთ აქტუალურ და სადავო საკითხს, და წიგნიერების ამგვარი კონცეფცია ესადაგება კროს-კულტურულ და ერთიან სასკოლო მიდგომებს. სასკოლო საგნების დონეზე, სწავლებისა და სწავლის პროცესი არ საჭიროებს თავიდან აწყობასა ან რესტრუქტურიზაციას. ნაცვლად ამისა, საჭიროა სწავლებისა და სწავლის პროცესების ჩართვა უფრო ფართო პერსპექტივაში, მათი თავმოყრა და ერთი მთლიანის ნაწილად ქცევა. ყველა სასკოლო საგანი სასწავლო პროგრამაში მოცემულ ერთ კონკრეტულ შინაარსზეა ორიენტირებული და იმ კონკრეტულ მეთოდებსა და აზროვნებისა თუ მსჯელობის ფორმებს ეყრდნობა, რომელსაც მოცემული შინაარსი და თემა საჭიროებს. ერთიანი სასკოლო ხედვით, სასკოლო საგნები შესაძლებელია აღქმული იქნეს როგორც გუნდი, რომელშიც თითოეული ხმა მკაფიოდ ისმის, თუმცა გუნდი ერთ სიმღერას ასრულებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლას ერთიანი საგანმანათლებლო მიზანები გააჩნია.

საერთო საფუძველი

სწავლების პროცესში ერთიანი სასკოლო მიდგომა ეხმარება მასწავლებლებს ერთიან და შეკრულ გუნდად იმუშაონ სკოლის საზოგადოების ფარგლებში, რადგან მათი სწავლების პრაქტიკა, მიუხედავად იმისა, თუ ერთმანეთისგან რამდენად განსხვავებულ საგნებს ასწავლიან ისინი მოსწავლეებს, საერთო მიზანების მიღწევას, საერთო საჭიროებების დაკმაყოფილებასა და საერთო გამოწვევებთან გამკლავებას ემსახურება. ყველა მასწავლებელი ერთი და იგივე ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებს ემსახურება და, შესაბამისად, ერთსა და იგივე მრავალფეროვნებასთან აქვთ შეხება, მაგალითად, მოსწავლეთა სწავლის უნარებისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით. გარდა ამისა, დემოკრატიული კულტურის შეთვისება და დანერგვა საერთო სასკოლო ამოცანას წარმოადგენს.

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების გასახორციელებლად სკოლებს დისციპლინათაშორისი სწავლების მიდგომა ესაჭიროებათ, რათა მოსწავლეებს გადასცენ ცოდნა და გაგება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ, მისცენ მათ საშუალება, დახვეწონ და განავითარონ ის უნარები, გამოიმუშაონ ის დამოკიდებულებები და შეითვისონ და გაითავისონ ის ღირებულებები, რომლებიც მათ დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის და დემოკრატიული საზოგადოებების შენარჩუნებისთვის სჭირდებათ. სწავლების ეს თანმიმდევრული, კოლექტიური და თანამშრომლობითი მეთოდი ასევე გულისხმობს სკოლის მთლიანი საზოგადოების, მშობლების და ადგილობრივი საზოგადოების ჩართულობას. გარდა ამისა, აღნიშნული მიდგომა მაქსიმალურად უწყობს ხელს სწავლების, როგორც სასკოლო ცხოვრების ძირითადი პრინციპის აღქმას, რომელიც ხორციელდება საკლასო გარემოში, სკოლის ეზოში თუ სკოლის სასადილოში, ასევე სკოლის შენობის მიღმაც. არ არსებობს სასკოლო საგანი, რომელიც არ ემსახურება განათლების ამ კონკრეტულ საჭიროებას.

სწავლა

სკოლა, როგორც სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება

განათლების სფეროში მრავლად არის საკითხები, რომლებზეც მუდმივად მიმდინარეობს მსჯელობა და, ასევე, მუდმივად ხდება სიახლეების შემოტანა. შეუძლებელია სკოლის ხელმძღვანელი ყველაფრის შესახებ ფლობდეს ინფორმაციას, თუმცა სკოლის მასწავლებლები შეიძლება ფლობდნენ ინფორმაციის რაღაც ნაწილს, რომლის თქვენთვის გაზიარებაც სკოლისთვის სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს. რამდენად მნიშვნელოვანი და რელევანტურია განათლებასთან დაკავშირებული ეს საკითხები თქვენი სკოლისთვის? როგორ უნდა გავარკვიოთ ეს? ხომ არ დავუთმოთ ამ საკითხებზე მსჯელობას მცირეოდენი დრო, დავუშვათ, გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების დასრულების შემდეგ?

მდგრადი სისტემა

ნებისმიერ სკოლის საზოგადოებაში, დროთა განმავლობაში, მასწავლებელთა შორის ასაკის მატება მკვეთრად იკვეთება იმ ფონზე, რომ მოსწავლეები მუდმივად ერთ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენენ და მათი მშობლებიც, მეტ-ნაკლებად, ასევე ერთ ასაკობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან, მცირერიცხოვანი გამონაკლისების გარდა. შესაბამისად, სკოლაში მასწავლებელთა რიგები განახლებასა და გაახალგაზრდავებას საჭიროებს, აღნიშნული ტენდენციის შესამსუბუქებლად, რათა დროთა განმავლობაში თავი არ იჩინოს ასაკობრივ სხვაობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა. სკოლა ინოვაციების დანერგვის კერას წარმოადგენს, თუმცა ბევრი მასწავლებელი იმედგაცრუებით ხვდება სისტემაში გახორციელებულ ცვლილებებს. სკოლას მდგრადი სისტემა ესაჭიროება, რომელიც ყოველდღიურ საქმიანობას სასიამოვნო გამოცდილებებით შეავსებს, რომელიც კმაყოფილების დონეს გაზრდის, კარგი განწყობისა და ხალისის შენარჩუნებას უზრუნველყოფს. დემოკრატია იმდენად სერიოზული და მნიშვნელოვანი საკითხია, რომ ამგვარი მდგრადი სისტემის გარეშე მისი შენარჩუნება შეუძლებელი იქნება.

მასწავლებელი სკოლას უნდა აღიქვამდეს როგორც სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოებას და საზოგადოებას, სადაც სწავლება-სწავლის პროცესი ხორციელდება. სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება



დარწმუნებული უნდა იყოს, რომ თანამშრომლობა არა მხოლოდ მოსწავლეების აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას უწყობს ხელს, არამედ, ასევე ეხმარება საზოგადოების წევრებს განიმტკიცონ ცოდნა და აიმაღლონ თვით-შეფასება. ეს ნიშნავს დინამიკურ და კომპეტენტურ მონაწილეობას, პრაქტიკის საშუალებით.

ორი ძირითადი ელემენტი

სწავლების თვალსაზრისით, სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება ორ ძირითად ელემენტს ეფუძნება: სწავლების სწავლასთან დაკავშირებასა და თანამშრომლობის კულტურის შექმნასა და დამკვიდრებას, რომელიც ზემოთ ხსენებულ მიზანს ემსახურება.

სწავლების სწავლასთან დაკავშირება

განვიხილოთ მარტივი მაგალითი: მასწავლებელი გაკვეთილს საუკეთესოდ უძღვება, მოსწავლეების უმეტესობამ აითვისა მასწავლებლის მიერ მათთვის გადაცემული მასალა, ზოგს გარკვეული კითხვები აქვთ მასალასთან დაკავშირებით, და არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც დამატებით ახსნასა და ყურადღებას საჭიროებენ მასალის ასათვისებლად. ამ შემთხვევაში თავს იჩენს ორი ურთიერთსაპირისპირო საჭიროება: მასწავლებელმა სასწავლო გეგმის შესაბამისად უნდა განაგრძოს სწავლება სხვა საკითხზე გადანაცვლებით, და ზოგიერთი მოსწავლე მეტ დროს საჭიროებს მათთვის უკვე გადაცემული მასალის ასათვისებლად. ამ ორი საჭიროების ერთდროულად დაკმაყოფილება შეუძლებელია, დროის ფაქტორის გათვალისწინებით. სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება ამგვარი დილემიდან გამოსავლის მოძებნის მთელ რიგ შესაძლებლობებს ქმნის, იმის გათვალისწინებით, რომ ყველა მასწავლებელი ცდილობს დააკმაყოფილოს თითოეული და ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებები.

ვინაიდან არსებობს უფლება განათლების მიღებაზე, სკოლა ვალდებულია შესთავაზოს მოსწავლეებს სწავლის თანაბარი შესაძლებლობები, და სწავლების სტრატეგია უნდა ითვალისწინებდეს ყველა მოსწავლის ხელშეწყობას, რათა მათ შეძლონ საკუთარი სწავლის მიზნების მიღწევა. აქედან გამომდინარე, საკმარისი არ არის სწავლება, საჭიროა დარწმუნება იმაში, რომ მოსწავლეები სწავლობენ და ითვისებენ მათთვის მიწოდებულ ცოდნას. რაც არ უნდა მარტივად ჟღერდეს ზემოთ თქმული, სწავლების ტრადიციული ჩვევებიდან ახალ სისტემაზე გადასვლა სირთულეს წარმოადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ წარმოებული უნდა იქნეს კვლევები, რომლებიც ემსახურება სწავლების ისეთი პრაქტიკის გამოვლენას, რომელიც სწავლის თანაბარ შესაძლებლობებს უზრუნველყოფს, მიუხედავად იმისა, თუ რა განსაკუთრებული მახასიათებლების მატარებელი იქნება მასწავლებელი თუ მოსწავლე. შემდეგ, საჭიროა ამ კვლევების შედეგების შესწავლა და ანალიზი, იმ მაჩვენებლების შემუშავების მიზნით, რომელიც აღწერს აუცილებელ ეტაპებს, და ბოლოს საჭირო იქნება ამ მაჩვენებელთა შეფასების სისტემის შემუშავება.

თანამშრომლობის კულტურის შექმნა

იმისათვის, რომ მასწავლებლებმა სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად იმოქმედონ, საჭიროა მათ თანამშრომლობის კულტურა აერთიანებდეთ. თუ თითოეული მოსწავლის მოსწრება საერთო მიზანს წარმოადგენს, თითოეულმა მასწავლებელმა საკუთარი წვლილი უნდა შეიტანოს ამ მიზნის მიღწევაში, სხვადასხვა კუთხით, ან იმ საგნების შეთავაზებით, რომლის სწავლებაზეც ისინი არიან პასუხისმგებელი, ან მათ მიერ საგნის სწავლებისას გამოყენებული სხვადასხვა მეთოდებითა და სტრატეგიებით. აქედან გამომდინარე, მასწავლებელთა თანამშრომლობა არ შემოიფარგლება სასკოლო პროგრამით განსაზღვრული ტრადიციული საკითხებით, აქტივობებითა თუ დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხებით, არამედ იგი ასევე უნდა მოიცავდეს თითოეული მოსწავლის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული საჭიროებს ერთად მუშაობას, სწავლების პრაქტიკის განხილვასა და გააანალიზებას, ერთობლივ მსჯელობას, რაც ემსახურება პროფესიული, სამეცნიერო, პედაგოგიური თუ დიდაქტიკური ასპექტების გაუმჯობესებას. ამგვარი თანამშრომლობა მოითხოვს და უზრუნველყოფს თანამშრომლობის უნარების განვითარებასა და დახვეწას, რომლებიც მოქალაქეებს ასევე ესაჭიროებათ დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობისათვის, მაგალითად „ჯგუფის მიზნების იდენტიფიცირება და დასახვა“ და „ჯგუფის წევრებისათვის სათანადო და სასარგებლო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება და ჯგუფის სხვა წევრების წახალისება, რათა მათ ასევე გაუზიარონ ჯგუფის სხვა წევრებს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება.“ იხ. **დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები**, გვ. 49.

სწავლა

სწავლის კულტურა

როგორც სკოლის ხემლძღვანელს, თქვენ არ შეგიძლიათ სკოლაში სწავლის კულტურის ძალით შემოტანა და დამკვიდრება, თუმცა თქვენი მაგალითი და თქვენი ძალისხმევა და მიზნისადმი ერთგულება ამ მხრივ გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. მაშასადამე, თქვენი არჩევანი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომელსაც სკოლის ხელმძღვანელი ამ მიმართულებით იღებს: რა ტიპის სწავლის კულტურა გსურთ იყოს დამკვიდრებული თქვენს სკოლაში? თქვენი სკოლის მასწავლებლებს ზოგადად კარგად აქვთ გააზრებული, რომ მოსწავლეები ჩართული უნდა იყვნენ საკუთარი სწავა-განათლების პროცესში, და თანამშრომლობს საფუძველზე გახორციელებული სწავლება და სწავლის მეთოდები ხელს უწყობს და ამხნევებს მათ რათა კრიტიკულად მიუდგნენ და ინტერესით მოეკიდონ ნებისმიერი თემისა თუ საკითხის ყველა შესაძლო ასპექტს, ხელს უწყობს მოსწავლეების ჩართვას საკითხის განხილვისა თუ საკითხზე კამათის პროცესში, ეხმარება მათ საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებაში, საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებულ წარმოდგენაში, მოლაპარაკებების წარმოებასა და ცვლილების შეტანაშიც კი. სწავლის ამგვარი კულტურა არ არის ფუფუნება, არამედ სწავლების კარგი პრაქტიკის და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლების ნაწილს წარმოადგენს.

სწავლის ამგვარი კულტურა არა მხოლოდ თქვენი მოსწავლეებისთვის არის სასარგებლო, არამედ მას ბევრი აქვს საერთო დემოკრატიის კულტურასთან. სკოლა შეიძლება მიკრო-საზოგადოებად იქნეს აღქმული, რომელიც ახალგარზდებს სთავაზობს შესაძლებლობებს, აიღონ პასუხისმგებლობა სკოლის ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებსა თუ გამოწვევებზე და მონაწილეობა მიიღონ ამ საკითხების გადაჭრისა თუ გამოწვევებთან გამკლავების გზების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში. დემოკრატიული საზოგადოებები, როგორც მიკრო ასევე მაკრო დონეზე, წარმოადგენს სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოებებს, რადგანარცერთმისწარმომადგენელსარძალუძსსხვებისგანდამოუკიდებლადგანსაზღვროს თუ რა შეადგენს საზოგადოების საერთო კეთიდლღეობას. უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, თუმცა მათ მერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია არ გაამართლოს, ვერ უზრუნველყოს პრობლემის აღმოფხვრა ან უსამართლო აღმოჩნდეს. სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოებისთვის ამგვარი გადაწყვეტილება გაკვეთილს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც ამ საზოგადოების წევრები აკეთებენ დასკვნებს და ცდილობენ გამოასწორონ დაშვებული შეცომა.

როგორ შეგვიძლია სწავლების საშუალებით გავამხნევოთ მოსწავლეები და შევთავაზოთ მათ შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში?

სამეცნიერო კვლევის მეთოდი

მსჯელობა და დასაბუთება შეუძლებელია, თუკი მოსწავლეებს მათთვის შეთავაზებული თემა ან საკითხი არ აინტერესებთ. დიდაქტიკაში მიღებულია, რომ სწავლის არსი არის მოტივაცია. მოსწავლეებმა უნდა შეძლონ



საკითხის იმ ცოდნასთან დაკავშირება, რომელსაც ისინი ფლობენ და საკითხი მათთვის საინტერესო უნდა იყოს. როგორც ცოდნის შეძენა ასევე ინტერესის გაღვივება სწავლის პროცესში ხდება. მსოფლიოს კვლევის პროცესში შეიქმნა მიდგომა, რომელიც „სამეცნიერო კვლევის მეთოდის“ სახელით არის ცნობილი. იგი გულისხმობს ეტაპობრივ პროცესს, რომელიც მოიცავს დაკვირვებას, კითხვების დასმას, ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას, ექსპერიმენტს, ანალიზს, დასკვნების გამოტანას და შემდეგ პროცესის თავიდან დაწყებას. სწავლების კონტექტსტში, მსჯელობა და დასაბუთება მასწავლებლებისაგან მოითხოვს მოსწავლეთა მახასიათებლების, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას, გაკვეთილის დაგეგმვისა და სწავლების პროცესში. მოსწავლეთათვის საშუალების მიცემა, რათა მათ თავად აწარმოონ კვლევა, იძლევა პასუხებს სწავლებასთან დაკავშირებულ ძირითად კითხვებზე, რომლებიც სწავლების მიზნებს ეხება.

სიფრთხილით მოკიდება

დემოკრატიული მოქალაქეობის ძირითადი ელემენტია ის, რასაც „კრიტიკულ მიდგომას“ ვუწოდებთ. ეს არის პროცესი, რომელიც მიჰყვება სამეცნიერო კვლევის მეთოდით გათვალისწინებულ ეტაპებს. იგი უპირველეს ყოვლისა მოითხოვს მოქალაქის დაინტერესებას საერთო კეთილდღეობით და მის მიერ საკითხთან დაკავშირებულ სხვადასხვა ასპექტებზე ინფორმაციის შეგროვებას, საკითხის შესახებ მოსაზრების ჩამოყალიბებამდე. მოსწავლეებს შეგვიძლია დავეხმაროთ კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის უნარის ჩამოყალიბებაში, სკოლაში მიმდინარე პროცესების საშუალებით, რაც ერთიან სასკოლო მიდგომასა და მასწავლებლების ჩართულობას საჭიროებს. მოსწავლეებს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ საგნებში უამრავი ამოცანა და სწავლის შესაძლებლობები ესაჭიროებათ. სწავლების კარგი პრაქტიკა უშუალოდ უკავშირდება სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელი მოიცავს უნარებს, რომლებსაც სამეცნიერო კვლევის მეთოდი მოითხოვს, მაგალითად, „დამოუკიდებელი სწავლის უნარი“ და „ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება”. დამატებითი ინფორმაცია იხ.: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, გვ. 49.

სასწავლო გარემო

სკოლაში, კლასები მინიატურულ საზოგადოებებს წარმოადგენენ, რომლებშიც ახალგაზრდა მოქალაქეებს აქტიურად მონაწილეობის უფლება და შესაძლებლობა ეძლევათ. სწავლება არის ის, რაც უზრუნველყოფს ახალგაზრდების აღჭურვას იმ ძირითადი უნარებით, რომლებიც მათი კომპეტენციების განვითარებას ემსახურება, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ აწარმოონ სამეცნიერო კვლევა, კრიტიკულად მიუდგნენ მათ წინაშე მდგარ ამოცანებს და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მოსწავლეები, რომლებიც მსგავსი გამოცდილების საფუძველზე სწავლობენ და იღებენ ცოდნას, უკეთ არიან მზად იმისთვის, რომ ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად და მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პროცესებში.

თქვენ მარტო არ ხართ

თქვენთვის, როგორც სკოლის ხელმძღვანელისთვის, სკოლაში, სწავლაზე ორიენტირებული კულტურის დამკვიდრებაზე ზრუნვა შეიძლება უცხო იყოს, და ის ამოცანები, რომლებიც სკოლაში ამგვარი კულტურის დამკვიდრებას ემსახურება, შესაძლებელია რთულადაც მოგეჩვენთ. ყველასთვის კარგად არის ცნობილი რამდენი ვალდებულება და პასუხისმგებლობა გაკისრიათ თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელს, და რამდენად შრომატევადია და რამდენი დრო სჭირდება ამ ვალდებულებების შესრულებას. მაგრამ გვერწმუნეთ, თქვენ მარტო არ ხართ. ევროპის საბჭოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშეწყობისა და განვითარების მრავალწლიანი ისტორია აქვს, და ეს პროცესი ახლაც გრძელდება, რომელშიც ევროპის მასშტაბით სხვადასხვა სკოლების ხელმძღვანელები აქტიურად არიან ჩართული. თუ გსურთ შეიტყოთ მეტი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ისტორიის თაობაზე, ეწვიეთ შემდეგ ვებ-გვერდს: https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-1/unit-4/

სწავლა

ღირებულებების სწავლება მოსწავლეთა თვით-დისციპლინის გარანტია

სკოლის დერეფანში ჩავლისას ერთ-ერთი საკლასო ოთახიდან ხმაური შემოგესმათ, რაც აშკარად გაფიქრებინებთ, რომ გაკვეთილზე რაღაც ისე არ ხდება, და მასწავლებელიც ვერ ახერხებს სიტუაციის დარეგულირებას. გაკვეთილის მიმდინარეობისას, ან მისი დასრულების შემდეგ, ამ კლასის მასწავლებელი თქვენი კაბინეტის კარზე აკაკუნებს და მოგმართავთ თხოვნით გაეცნოთ ვითარებას. ის მოსწავლეები, რომლებსაც მასწავლებელი გაკვეთილის ჩაშლის „შემოქმედებად“ ასახელებს, თავს იმართლებენ და ამბობენ, რომ მათ არაფერი დაუშავებიათ, რაც თქვენ უხერხულ მდგომარეობაში გაგდებთ, რადგან „მოსამართლის“ როლში გიწევთ გამოსვლა. მოვლენების ამგვარად განვითარების შედეგად მასწავლებელი კარგავს პატივისცემას მოსწავლეების თვალში.

აღწერილი სიტუაცია მიუთითებს სკოლის ხელმძღვანელობაში ავტორიტარული სტილის არარსებობაზე; ავტორიტარული სტილი გულისხმობს, რომ მოსწავლეები ვალდებული არიან დაექვემდებარონ წინასწარ დადგენილ წესებს და იმ შემთხვევაში, თუ ისინი ამ წესებს არ ექვემდებარებიან, მასწავლებელი ვალდებულია უზრუნველყოს რომ ყველა მოსწავლე მკაცრად იცავდეს დადგენილ წესებს. მასწავლებლისთვის ეს არც თუ ისე მარტივი საქმეა, თუ გავითვალისწინებთ რამდენი მეამბოხე და მტრულად განწყობილი მოსწავლე შეიძლება იყოს კლასში. მუდმივი კონტროლი, შექება და დასჯა ეს ის ბერკეტებია, რომლებსაც ფლობს მასწავლებელი კლასში წესრიგის დასამყარებლად და დისციპლინის დასაცავად.

მოსწავლეთა დისციპლინა მართლაც მნიშვნელოვანია სკოლაში პროცესების სათანადოდ წარმართვისათვის. გარდა ამისა, სკოლა არის პირველი დაწესებულება, რომელთანაც შეხება აქვთ ბავშვებსა და ახალგაზრდებს, და სწორედ აქ უნდა ისწავლონ მათ კანონის მორჩილება, არა იმიტომ რომ არსებობს მოთხოვნა, არამედ იმიტომ რომ მათ ესმით წესების დაცვის აუცილებლობა და ისინი სათანადოდ აღიქვამენ კანონის უზენაესობას. მოსწავლეებზე მიდმივი კონტროლისა და ზედამხედველობის დაწესება და მოსწავლეების დასჯა თითქმის შეუძლებელია და, ამავე დროს, სასურველიც არ არის, ვინაიდან ამგვარად ის, რასაც მოსწავლეები სკოლის ფარგლებში ისწავლიან, არის როგორ დაემორჩილონ წესებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან და, ამგვარად მოსწავლეებს აღარ ეძლევათ საშუალება პასუხისმგებლობა აიღონ სკოლის საზოგადოებაზე.

ღირებულებები უხილავია, ვიდრე ისინი თავს არ იჩენს ადამიანის ქცევაში. დისციპლინის ძალით გატარება და თავსმოხვევა თითქმის შეუძლებელია, იგი პიროვნების შიგნიდან უნდა მოდიოდეს. ღირებულებების სწავლება ქადაგებითა და შეგონებებით შეუძლებელია, ღირებულებების შეთვისება კარგი მაგალითებით ხდება. თქვენი, როგორც სკოლის ხელმძღვანელის და თქვენი სკოლის მასწავლებლების დამოკიდებულებები ყველაზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატიული და ღირებულებებზე დაფუძნებული სასკოლო საზოგადოების ჩამოყალიბების საქმეში.

თუ თქვენ ჰკითხავთ მოსწავლეებს სკოლასთან დაკავშირებით მათი მოლოდინების შესახებ გიპასუხონ, აღმოაჩენთ, რომ ისინი ხშირად იმაზე მეტს მოელიან, ვიდრე სკოლას შეუძლია მისცეს მათ. მათ სურთ, რომ კარგად გაატარონ დრო და სურთ მათი სკოლა სწორად ფუნქციონირებდეს, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისინი წესრიგის დამრღვევებადაც გვევლინებიან. ამრიგად, შესაძლებელია მოსწავლეები დავარწმუნოთ, რომ ვერცერთი საზოგადოება ვერ ფუნქციონირებს წესების გარეშე, და ეს ასევე ეხება დემოკრატიულ საზოგადოებებს. იხილეთ „დისციპლინა და წესრიგი დემოკრატიული თვალსაზრისით“ https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-1/chapter-2/lesson-5/ .

თუ მოსწავლეები იზიარებენ იმ ღირებულებებს, რომლებსაც სკოლის წესები ემყარება, ეს წესები მათთვის მისაღები იქნება და მოსწავლეები შეეცდებიან დაიცვან ისინი. ევროპის საბჭოს პუბლიკაციაში - დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, აღნიშნული ღირებულებები მოიცავს შემდეგს: „კანონის უზენაესობისა და ყველა მოქალაქისადმი თანაბარი და მიუკერძოებელი, კანონს შესაბამისი მოპყრობის მხარდაჭერა და ამგვარი მხარდაჭერის, როგორც სამართლიანობის უზრუნველყოფის საშუალების აღიარება” (დამატებითი ინფორმაცია იხ.: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, გვ. 38, no 7).

ღირებულებებზე დაფუძნებულ წესებზე მსჯელობა უნდა გაიმართოს კლასში და საჭიროა ყველა მოსწავლე კარგად გაეცნოს მათ; ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ. მასწავლებლებისთვის განკუთვნილ და დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისადმი მიძღვნილ სახელმძღვანელოთა სერიიდან მე-2 ტომში - „ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში“ - აღწერილია მცირე პროექტი, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები აფასებენ სკოლაში უკვე მოქმედ წესებს, და ცდილობენ განსაზღვრონ, თუ რა ღირებულებები და პრინციპები უდევს ამ წესებს საფუძვლად, რის შემდეგაც ისინი განიხილავენ ამ წესების გადასინჯვასა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წამოყენებულ წინადადებებს. ამ ტომის ყდაზე დატანილ სურათზე ნაჩვენებია მოსწავლეები, რომლებიც ხელს აწერენ დოკუმენტს სკოლის იმ წესების შემოღების თაობაზე, რომლებიც მათ კენჭისყრის საშუალებით და ხმათა უმრავლესობით მიიღეს, რაც ხაზს უსვამს ამ პროექტის მნიშვნელობას სწავლის შესაძლებლობების თვალსაზრისით, რადგან იგი საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მონაწილეობა მიიღონ სკოლის ფარგლებში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საკითხი საკმაოდ აქტუალურია და რეალური სასკოლო ცხოვრების ნაწილს შეადგენს. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება და დემოკრატიული კულტურის ღირებულებების სწავლება ნებისმიერი ასაკის ბავშვებთან შეიძლება განხორციელდეს. „ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში“ წარმოადგენს სახელმძღვანელოს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისათვის, მასში მოცემული პროექტი, რომელიც სკოლის დონეზე მოსწავლეთა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვას ემსახურება, შეიძლება მორგებული იქნეს მაღალი კლასების მოსწავლეების საჭიროებებზე და განხორციელდეს მაღალი კლასების მოსწავლეთა მონაწილეობით. იხ. https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/unit-5/

მოსწავლეებისთვის ნათელია, რომ მათი ქცევა მონიტორინგს საჭიროებს, და რომ წესების დამრღვევ პირებს გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. წესების დაცვის უზრუნველყოფა სკოლის ხელმძღვანელისა და სკოლის პერსონალის პრეროგატივას წარმოადგენს, სკოლის კანონმდებლობის თანახმად. მოსწავლეები, რომლებსაც გააჩნიათ მოქალაქეობრივი აზროვნება, ე.ი. „საზოგადოების სხვა წევრების მიმართ ანგარიშვალდებულების განცდა და გაცნობიერება იმისა, რომ კონკრეტულ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი გადაწყვეტილებებისა და ქმედებების გამო, საზოგადოების სხვა პირების წინაშე” (დამატებითი ინფორმაცია იხ.: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები გვ. 41), ნაკლებად არღვევენ დისციპლინას, რადგან მათ გააჩნიათ თვით-დისციპლინა და შეუძლიათ პასუხი აგონ საკუთარ ქცევაზე.

სწავლა

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: დიაგრამა

წყარო: იხ [დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები]

სურათზე რიცხვებით 1 – 7 აღნიშნული ელემენტების განმარტებები იხილეთ შესაბამისად დანომრილ კომენტარებში.



დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების დიაგრამა: კომენტარები

გვერდები მითითებულია ევროპის საბჭოს პუბლიკაციდან: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები

ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე ვიზუალურად არის გამოსახული იმ კომპეტენციათა კონცეპტუალური მოდელი, რომლებსაც მოქალაქეები უნდა ფლობდნენ დემოკრატიულ კულტურაში მონაწილეობის მისაღებად (იხ. გვ. 9). მოდელი ემსახურება რეალური გარემოს გამარტივებულად გამოსახვას და მასში ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე, თუმცა მასში არ არის შესული ბევრი სხვა ასპექტი. ნებისმიერი გზამკვლევი რუკა, მაგალითად, წარმოადგენს კონკრეტულ ტერიტორიაზე არსებული გზების ქსელის მოდელს და იგი კომფორტულია გამოსაყენებლად სწორედ იმიტომ, რომ მასზე არ არის დატანილი ყველა დეტალი. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელი რუკის ანალოგს წარმოადგენს. მასზე ნაჩვენებია თუ ჩვენი, ინდივიდუალური პირის ქცევა როგორ უკავშირდება დემოკრატიულ კულტურას და რა წვლილის შეტანა შეუძლია სკოლას მოსწავლეების დემოკრატიულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეში.

როგორც დიაგრამა, ასევე კომენტარები განკუთვნილია დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მისაღებად, თუმცა იგი არ ანაცვლებს ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოს - „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები“. როგორც დიაგრამა, ასევე სახელმძღვანელოც განკუთვნილია, კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სამუშაო ადგილზე მასწავლებლებისა და სკოლის ხელმძღვანელების მოსამზადებლად, ან მშობლებისა და გარე დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისათვის.

1. დემოკრატიის ინსტიტუციური ჩარჩო (პოლიტიკური სისტემა) ვერ იფუნქციონირებს და ვერც იარსებებს თუ მას დემოკრატიული კულტურა არ უმაგრებს ზურგს, რომელსაც ყველა მოქალაქე იზიარებს. ამგვარი დემოკრატიული კულტურის მქონე საზოგადოებაში, მოქალაქეები ერთგულად იცავენ კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებებს და საჯაროდ იღებენ გადაწყვეტილებას საზოგადოებისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. მათ სჯერათ და სწამთ, რომ კონფლიქტები მშვიდობიანი გზებით უნდა მოგვარდეს და ისინი აღიარებენ და პატივს სცემენ საზოგადოებაში არსებულ მრავალფეროვნებას. მოქალაქეებს სურთ გამოხატონ საკუთარი შეხედულებები და, ასევე, სურთ მოისმინონ თუ რას ფიქრობენ სხვები. ისინი ემორჩილებიან უმრავლესობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ზრუნავენ უმცირესობებსა და მათი უფლებების დაცვაზე. მათ აქვთ კულტურათაშორის დიალოგში ჩართვის მზაობა (იხ. გვ. 15). დემოკრატიის ინსტიტუციური სტრუქტურები და დემოკრატიული კულტურა “არსებითად ურთიერთდამოკიდებულია” (გვ. 15), რაც იმას ნიშნავს, რომ ვერც ერთი მათგანი ვერ შეძლებს მეორესგან დამოუკიდებლად არსებობსას. დემოკრატიული კულტურის სიმტკიცე დამოკიდებულია არა მხოლოდ კომპეტენტურ მოქალაქეებზე, არამედ იმაზე, თუ რამდენად იზიარებენ მოქალაქეები ზემოთ აღნიშნულ ელემენტებს, და არ ხდიან მათ სადავოს (იხ. კომენტარი 6).

2. როდესაც მოქალაქეები გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობენ, მათ უწევთ ურთიერთობა განსხვავებული კულტურის მატარებელ სხვა მოქალაქეებთან. შესაბამისად, მოქალაქეებს შორის ინტერკულტურული დიალოგი კულტურული თვალსაზრისით მრავაფეროვანი დემოკრატიული საზოგადოებების განუყოფელ მახასიათებელს წარმოადგენს. კულტურული სხვაობების მიუხედავად დიალოგის წარმოების სურვილი იმაზე მიუთითებს, რომ მოქალაქეები ერთმანეთს დემოკრატიის ჭრილში თანასწორად აღიქვამენ. ინტერკულტურული დიალოგი დემოკრატიის კულტურის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, და პირიქით, დემოკრატიული კულტურა ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება ინტერკულტურული დიალოგის გარეშე. დემოკრატიული კულტურა და ინტერკულტურული დიალოგი “არსებითად ურთიერთდამოკიდებულია” (გვ. 15), და უზრუნველყოფს საზოგადოების მაკრო დონის დაკავშირებას ინდივიდუალურ პირთა შორის ურთიერთობის მიკრო დონესთან. აღნიშნული იდეა მოცემული ვებგვერდის ლოგოშია გადმოცემული „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“.

3. კომპეტენტური მოქალაქეები დემოკრატიული კულტურისა და ინტერკულტურული დიალოგის აუცილებელ წინაპირობას ქმნიან, თუმცა, მხოლოდ კომპეტენციები საკმარისი არ არის. მაკრო დონეზე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური ინსტიტუციების ეფექტურობას: „...გამომდინარე მისი სტრუქტურიდან, ინსტიტუციური მოწყობა ხელს უწყობს, მიმართულებას აძლევს, აფერხებს ან ხელს უშლის მოქალაქეების მიერ დემოკრატიული და ინტერკულტურული კომპეტენციების გამოყენებას” (გვ. 17). მაგალითად, მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის უფლება და სურვილი საჭიროებენ წვდომას მედია საშუალებებით მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც ცენზურას არ ექვემდებარება, ისინი ასევე საჭიროებენ არხებს, რომელთა საშუალებითაც ერთმანეთთან და ასევე პოლიტიკოსებთან კომუნიკაციას შეძლებენ.

4. მაკრო დონეზე არსებობს ფაქტორების ჯგუფი, რომლებმაც შესაძლებელია განაპირობოს და საფუძველი დაუდოს გარკვეული ჯგუფებისათვის „არახელსაყრელ პირობების შექმნასა და მათ დისკრიმინაციას“ (გვ. 18), რის გამოც, მოქალაქეები, რომლებიც დემოკრატიული და ინტერკულტურული კომპეტენციების თვალსაზრისით სხვა მოქალაქეებთან თანაბარ დონეზე იმყოფებიან, შესაძლებელია, ამ კომპეტენციებით სარგებლობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით, არათანაბარი შესაძლებლებების წინაშე აღმოჩნდნენ. სოციალურმა

უთანასწორობამ შესაძლებელია თავი იჩინოს ისეთ ასპექტებში, როგორიცაა შემოსავლების არათანაბარი განაწილება, დროის რესურსი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ქსელებზე წვდომა ან ელექტროენერგიის რესურსებზე წვდომა. საზოგადოების წევრებს შორის რესურსების არათანაბარი განაწილება დაკავშირებულია ეკონომიკურ სისტემასთან (მაგ. არათანაბარი ანაზღაურება, უმუშევრობა, საერთაშორისო საწარმოების გავლენა) და/ან პოლიტიკურ სისტემასთან. იმ სხვაობის შედეგად, რომელიც არსებობს პრივილეგირებულ და დაუცველ ჯგუფებს შორის, შეიძლება მივიღოთ გენდერული უთანასწორობა, სიღარიბე, მიგრაცია, განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვა და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება. სისტემური მარგინალიზაციისა და დემოკრატიულ და ინტერკულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის შეზღუდვის" (გვ. 18) შედეგი შეიძლება იყოს მოქალაქეთა სამოქალაქო პროცესებში თანაბარი მონაწილეობის უფლების შეზღუდვა, მიუხედავად მათი კომპეტენციების დონისა, რაც შეიძლება გადაიზარდოს "სამოქალაქო პროცესებში აქტივობის დონის შემცირებასა და მათ გაუცხოებაში" (გვ. 18).

5. იმ შემთხვევაში, თუ ადეკვატური ღონისძიებები არ იქნება გატარებული, სოციალური უთანასწორობა შეიძლება აღქმული იყოს როგორც უსამართლო და შეიძლება საფრთხე შეუქმნას დემოკრატიულ კულტურას და დემოკრატიის ინსტიტუციური ჩარჩოს ლეგიტიმურობას. შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებებში არსებითი მნიშვნელობა აქვს სოციალურ უთანასწორობასთან და მონაწილეობის შეზღუდვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებას, და ყველა მოქალაქის უზრუნველყოფას "ჭეშმარიტად თანაბარი პირობებით" (გვ. 18). ზემოთ თქმულთან დაკავშირებით უნდა გვახსოვდეს, რომ სამართლიანობა, ადამიანისა და სამოქალაქო უფლებები ისტორიულ მონაპოვარს წარმოადგენს და კაცობრიობას მათი მიღწევისთვის საუკუნეების მანძილზე მოუწია ბრძოლა, რაც მთელ ევროპაში საყოველთაო საარჩევნო უფლებისთვის და ქალთა უფლებების დაცვისთვის ბრძოლის მაგალითზე კარგად ჩანს. ადამიანის უფლებები და დემოკრატიული მონაწილეობა ხანგრძლივი დროის მანძილზე მიმდინარე ძალისხმევის მონაპოვარს წარმოადგენს, და ამ მიმართულებით ძალისხმევა მსოფლიოში დღესაც გრძელდება. ამრიგად, დემოკრატიული პრინციპებისადმი კომპეტენტური მოქალაქეების ერთგულება გადამწყვეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების ყველა წევრი, სოციალური სტატუსის მიუხედავად, სარგებლობდეს მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობებით.

6. კულტურის ცნება: "ნებისმიერი კულტურა შეიძლება განხილული იყოს, როგორც სამი ასპექტის მატარებელი: მატერიალური რესურსები, რომლებითაც სარგებლობენ კონკრეტული ჯგუფის წევრები (მაგალითად, ინსტრუმენტები და სამუშაო იარაღი, საკვები, ტანისამოსი), სოციალური რესურსები, რომლებიცსაზიაროაჯგუფისწევრებისათვის(მაგალითად,ენა,რელიგია,საზოგადოებაშიქცევისწესები) და სუბიექტური რესურსები, რომლებსაც ჯგუფის ინდივიდუალური წევრები იყენებენ (მაგალითად, ღირებულებები, დამოკიდებულებები, შეხედულებები და პრაქტიკა, რომლებსაც ჯგუფის წევრები, საზოგადოდ, იყენებენ როგორც გარე სამყაროს აღქმისა და მასთან ურთიერთობის კრიტერიუმებს). ჯგუფის კულტურა ამ სამივე ასპექტის ნაზავს წარმოადგენს – იგი შედგება მატერიალური, სოციალური და სუბიექტური რესურსებისაგან." (გვ. 19) თუმცა, კულტურის ნიშნით გაერთიანებული ჯგუფები, როგორც წესი, ჰეტეროგენულია. კულტურული ნორმები ხშირად კამათის საგანი ხდება, და დროთა განმავლობაში ცვლილებას განიცდის. კულტურის ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის ინდივიდუალური წევრები არჩევანს აკეთებენ კონკრეტულ ასპექტებსა და კულტურულ რესურსზე და უარს ამბობენ დანარჩენზე.

   ნებისმიერი სოციალური ჯგუფი შესაძლებელია საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი კულტურის მატარებელი იყოს. ეს ჯგუფები მოიცავს: ეროვნულ, ეთნიკურ ან რელიგიურ ჯგუფებს, ერთ ქალაქში ან ერთ უბანში მცხოვრებ ადამიანებს, ერთ ორგანიზაციაში დასაქმებულ ადამიანებს, ერთი პროფესიის ადამიანებს, ლგბტ თემს, შშმ პირებს ან ერთი თაობის წარმომადგენლებს, ან ოჯახებს. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი საზოგადოება კულტურულად მრავალფეროვანია, და შედგება ადამიანებისაგან, რომლებიც ერთდროულად სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს წარმოადგენენ და შესაბამისად ერთმანეთისგან განსხვავებული, თავისებურად უნიკალურ კულტურათა ნაკრების მატარებლები არიან. შესაბამისად, ერთი რომელიმე კულტურული ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთისგან განსხვავდებიან და სწორედ ამით არის განპირობებული ერთი კულტურული ჯგუფის წარმომადგენლებს შორის კულტურული რესურსების გამო მუდმივი დავა.

   ნებისმიერ სიტუაციაში, როდესაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ, მათ შესაძლებელია აღიქვან სხვაობა, რომელიც კულტურული თვალსაზრისით არსებობს მათსა და სხვა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს შორის; გამოდის რომ, "ნებისმიერი სიტუაცია, რომელიც ადამიანებს შორის ურთიერთობას მოიცავს, პოტენციურად, ინტერკულტურულ სიტუაციას წარმოადგენს" (გვ. 20). შესაბამისად, ჩვენი ინტერპერსონალური მიდგომისა და აღქმის ჩანაცვლება ხდება ინტეკულტურული მიდგომითა და აღქმით, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს, ვისთანაც ურთიერთობას ვამყარებთ, ჩვენ ვაიგივებთ რომელიმე სოციალურ ჯგუფთან და აღვიქვამთ მათ უფრო როგორც ამ ჯგუფის წევრებს, ვიდრე ინდივიდუალურ პირებს. მსგავსი ინტერკულტურული სიტუაციები იჩენს თავს, როდესაც ჩვენ ვხვდებით სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ან ჩვენგან განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის, ჩვენგან განსხვავებული აღმსარებლობის, სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანებს, ჩვენგან განსხვავებული სქესის ან სოციალური ფენის წარმომადგენლებს, ან განათლების დონით ჩვენგან

განსხვავებულ ადამიანებს. ინტერკულტურულ დიალოგს განსხვავებულ კულტურულ ჯგუფებს შორის გარკვეული კავშირის დამყარების პოტენციალი გააჩნია, იმ შემთხვევაში თუ მას ადგილი აქვს როგორც „მოსაზრებათა ღია გაცვლა-გამოცვლას, რომელიც ხორციელდება ურთიერთგაგებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, იმ პირებსა თუ ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომლებიც საკუთარ თავს განსხვავებული კულტურული კუთვნილების მქონე პირებად თუ ჯგუფებად აღიქვამენ“ (გვ. 20)

კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებებში სოციალური ინტეგრაციის გასამყარებლად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინტერკულტურული დიალოგი. თუმცა, თუ განსხვავებული კულტურული ჯგუფები ერთმანეთს მტრად აღიქვამენ, მაგალითად წარსულში მათ შორის არსებული შეიარაღებული კონფლიქტის გამო, ან თუ ერთი კულტურული ჯგუფი მიიჩნევა რომ პრივილეგიით სარგებლობს მეორე კულტურული ჯგუფის ხარჯზე, მათ შორის ინტერკულტურული დიალოგი განსაკუთრებით რთულად მიმდინარეობს და საჭიროებს ინტერკულტურული კომპეტენციების უმაღლეს დონეზე ფლობას, ემპათიასა და პიროვნულ სიმტკიცესა და გამბედაობას (იხ. გვ. 21).

7. კომპეტენციის ცნება და კომპეტენციები: (გვ. 23) დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელში, კომპეტენციების (მრავლობით რიცხვში) ცნება გულისხმობს პიროვნების “ფსიქოლოგიურ რესურსებს” – ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, უნარებსა და ცოდნასა და კრიტიკულ გააზრებას. ეს რესურსები ინსტრუმენტთა დიდ ნაკრებს წააგავს, რომელშიც შედის სხვადასხვა ფსიქოლოგიური ინსტრუმენტები. კომპეტენცია (მხოლობით რიცხვში) გულისხმობს პიროვნების მზაობასა და უნარს, მოცემულ სიტუაციაში ან პრობლემის გადაჭრისას, ადეკვატურად გამოიყენოს აღნიშნული კომპეტენციები ან ინსტრუმენტები. კომპეტენციის ცნება გულისხმობს “დინამიკურ პროცესს” (გვ. 24) რომლის დროსაც პირი არჩევს, ააქტიურებს, ორგანიზებასა და კოორდინირებას უწევს ფსიქოლოგიურ რესურსებს (კომპეტენციებს), შექმნილი ვითარების შესაბამისად, და აკვირდება ვითარებას და, მისი ცვლილების შემთხვევაში, ადეკვატურად ცვლის ამ კომპეტენციებს. კომპეტენციების გამოყენება წარმოებს არა ცალ-ცალკე, არამედ კომპეტენციათა ჯგუფების სახით. კომპეტენცია და კომპეტენციები არ წარმოადგენს ხილულ რესურს და მათი მიგნება მხოლოდ შესაძლებელია თეორიებითა და მოდელებით. ისინი ხილულ ფორმას იძენს და მჟღავნდება ადამიანის ქცევაში, ანუ, როგორ მოქმედებს ადამიანი, რას ფიქრობს, რას ამბობს ან როგორ ურთიერთობს სხვებთან. შესაბამისად, მასწავლებლებს მოსწავლეთა კომპეტენციების ფლობის დონის შეფასება შეუძლიათ დემოკრატიულ და ინტერკულტურულ სიტუაციებში მათ მიერ გამოვლენილ ქცევებზე დაკვირვებით. დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის სახელმძღვანელოში მოყვანილია სამი მაგალითი, რომლებიც აჩვენებს თუ როგორ წარმოებს კომპეტენციათა ჯგუფების მობილიზება, კონკრეტულ სიტუაციებში, როგორიცაა, ინტერკულტურული დიალოგი, სიძულვილის ენის წინააღმდეგ გალაშქრება და პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობა (იხ. გვ. 24).

8. მაკრო დონეზე, მომავალი მოქალაქეების დემოკრატიულ კულტურაში მონაწილეობისათვის საჭირო უნარებით აღჭურვის მიზნით, უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ, საზოგადოების მიკრო დონეზე, ე.ი. სკოლის საზოგადოების ფარგლებში, ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეიძინონ და განავითარონ დემოკრატიულ კულტურასა და ინტერკულტურულ დიალოგში მონაწილეობისათვის საჭირო კომპეტენციები (იხ. გვ. 16). ამისათვის სკოლებში უნდა დამკვიდრდეს სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც ერთიანი სასკოლო მიდგომა, რაც ნიშნავს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საშუალებით, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისათვის, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებასა და სწავლას - დემოკრატია და ადამიანის უფლებები უნდა იყოს წარმოდგენილი გაკვეთილზე განსახილველ თემებს შორის; უნდა არსებობდეს პედაგოგიური პრინციპები და რეკომენდაციები, რომლებიც აღნიშნული საკითხის ერთიან სასკოლო მიდგომის ჭრილში ჩართვას ემსახურება; და სკოლა უნდა უზრუნველყოფდეს მოსწავლეთა ჩართვასა და მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებსა და ადამიანის უფლებათა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებში, რათა მოსწავლეებმა მიიღონ საკმარისი გამოცდილება ამ მიმართულებით. აღნიშნული სამი ასპექტის შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია მოცემულია სახელმძღვანელოში - სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, იხ. https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-1/unit-3/chapter-1/. მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები უნდა ზრუნავდნენ დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების შეძენასა და განვითარებაზე, რათა უზრუნველყონ მოსწავლეების განათლება ამ მიმართულებით, საკუთარი მაგალითით. საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება სკოლის საზოგადოებაზეც აისახება და ასევე წარმოდგენილია თითოეულ კლასშიც, შედეგად, მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის, ან მოსწავლეებს შორის მიმდინარე ინტერპერსონალური დიალოგი ყოველთვის შეიცავს ინტერკულტურული დიალოგის განზომილებას. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის სწავლა, ე.ი. სწავლა, რომელიც დემოკრატიული კულტურის შენარჩუნებას ემსახურება, არ არის საკმარისი მაკრო დონეზე საზოგადოების უკეთესობისაკენ შეცვლის უზრუნველსაყოფად, თუმცა კომპეტენტური მოქალაქეების გარეშე დემოკრატიული კულტურა ვერ იარსებებს.

სწავლა

გაკვეთილის დაკავშირება რეალურ სამყაროსთან

სკოლის ხელმძღვანელობა საპასუხისმგებლო საქმეა და სკოლის ხელმძღვანელს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს სკოლის ძირითად მიზნებზე. არსებობს სხვადასხვა საკითხების ერთიან და მთლიან კონტექსტში ეტაპობრივად ჩართვის გზები, ასაწყობი თავსატეხის მსგავსად. ერთიან სურათზე კონცენტრირება დაგეხმარებათ მოემზადოთ უმეტესწილად არასასურველი სიურპრიზებისთვის, ვიდრე მიზანი მიღწეული იქნება.

“მოსწავლეთა დემოკრატიული მონაწილეობა უნდა შემოიფარგლებოდეს მოსწავლეთა საბჭოს ჩართულობით და იმ საკითხებით, რომლებიც უშუალოდ სკოლას ეხება, და უნდა ხორციელდებოდეს სკოლის დონეზე და არა გაკვეთილის დონეზე, რადგან გაკვეთილი მნიშვნელოვანია მოსწავლეებისათვის და არ არის რეკომენდებული მისი გადატვირთვა ან შეფერხება სხვა საკითხების ჩართვით“.

ზემოთ მოცემულ ხედვას ბევრი სკოლა იზიარებს და ადამიანები, რომლებიც მსგავს ხედვას ფლობენ, როგორც წესი, მოსწავლეებისგან და სკოლის თანამშრომლებისგან მოელიან სკოლის წესებისა და განკარგულებების უპირობო მორჩილებას. მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ გვსურს ჩვენი მოსწავლეები კარგად იყვნენ მომზადებული დემოკრატიულ საზოგადოებაში საკუთარი როლის პირნათლად შესრულებისათვის. მაგრამ რამდენად რეალურია მოლოდინი იმისა, რომ მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის მზადმყოფ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას, მხოლოდ რამდენიმე წლის განმავლობაში სკოლაში გაკვეთილებზე დასწრების საშუალებით?

„ოდესმე დამჭირდება ეს ცხოვრებაში? გამომადგება რეალურ გარემოში?“ ამგვარი კითხვები ისმის და მეტყველებს იმ სხვაობაზე, რომელიც არსებობს სკოლაში მათ მიერ მიღებულ გამოცდილებასა და რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებას შორის. მოსწავლეებისათვის არ არის საკმარისი იმის მოსმენა, რომ გაკვეთილი ან საგანი მათ გამოადგებათ, ვინაიდან სამინისტროს გადაწყვეტილებით იგი სასწავლო პროგრამაშია შეტანილი, ან იმიტომ, რომ ამას მათ მასწავლებელი ეუბნება, ან იმიტომ, რომ მათ გამოცდები აქვთ ჩასაბარებელი. ეს კითხვები მასწავლებლებს დიდაქტიკის ელემენტებს ახსენებ: მასწავლებელს უნდა შეეძლოს ახსნას, თუ რატომ შეარჩია თემა და მიაწოდოს მოსწავლეებს ინფორმაცია სწავლის მიზნების შესახებ, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ საინტერესოა მხოლოდ ის, რაც უკავშირდება რეალურ ცხოვრებას და იმას, რის შესახებაც მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული ინფორმაცია.



თუ გსურთ ამ თემაზე ესაუბროთ სკოლის მასწავლებლებს, ამაში დაგეხმარებათ ქვევით მითითებული მასალა:

მასწავლებლებს შეუძლიათ აირჩიონ პატარ-პატარა ნაბიჯებით დააკმაყოფილონ მოსწავლეთა სწავლის საჭიროებები, თუმცა ეს ნაბიჯები მათ აუცილებლად უნდა გადადგან:

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-1/chapter-2/lesson-7/

მასწავლებლებს, რომლებსაც სურთ დარწმუნდნენ, რომ სწორი დიდაქტიკური სტრატეგია აქვთ არჩეული, შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგ ბმულზე მოცემული მასალით:

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-2/

დემოკრატიული მოქალაქეობის შესწავლა სკოლაში შესაძლებელია გამოცდილებისა და მასზე მსჯელობის საშუალებით. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც გაკვეთილის ფორმატში ჩართული კონკრეტული თემა და როგორც ერთიანი სასკოლო მიდგომა, ბევრ გზას გვთავაზობს სასწავლო თემების რეალურ ცხოვრებასთან, განსაკუთრებით კი სასკოლო ცხოვრებასთან, დაკავშირების მიმართულებით. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სხვადასხვა გზას გვთავაზობს, რომელთა მორგებაც შესაძლებელია სწავლების სხვადასხვა სტილზე. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ იმ მასწავლებლებს, რომლებიც არჩევანს მასწავლებელზე ორიენტირებულ გაკვეთილზე აკეთებენ, სთავაზობს სავარჯიშოებს სხვადასხვა თემაზე და მაგალითებს, რომლებიც მოსწავლეების მიერ მიღებულ გამოცდილებას უკავშირდება. მასწავლებლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან თანამშრომლობის საფუძველზე განხორციელებული და ამოცანაზე ორიენტირებული სწავლის მოდელებით, შეუძლიათ უამრავი მასალა მოიძიონ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების სახელმძღვანელოებში (https://www.living-democracy.com/ge/teachers/).

სწავლა

შეფასება გაცილებით მეტია, ვიდრე ტესტირება და კონტროლი

პროცესის შეფასება რბოლის დასრულებას ჰგავს. შედეგის შეფასება კი ნიშნავს მიმდინარე მოვლენების პულსზე გეჭიროს ხელი. ამ ფორმების პრაქტიკაში დანერგვა და გამოყენება შესაძლოა სკოლის ხელმძღვანელისთვის მძიმე შრომად იქცეს, ან ინსტრუმენტად, რომელიც მას პროცესების მართვაში ეხმარება. როგორც ყველა დანარჩენი ასპექტი, შეფასებაც სათანადო ყურადღებას საჭიროებს, და არა მხოლოდ გამოცდების მოახლოვებისას.

ტესტირება შეფასება არ არის

მასწავლებელი შემოდის კლასში და მოსწავლეებს აცნობს თემას, ხაზს უსვამს მნიშვნელოვან საკითხებს და ფაქტორებს, განმარტავს იმას, რისი ახსნის საჭიროებასაც თავად თვლის აუცილებლად და მოჰყავს ერთი ან ორი მაგალითი. მოსწავლე უსმენს მას და მიჰყვება მასწავლებლის ტემპს. შემდეგ იგი მიდის სახლში, პოულობს სახელმძღვანელოში მასწავლებლის მიერ გაკვეთილისას ახსნილ საკითხს, კითხულობს მას, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან ნაწილებზე, იხსენებს მასწავლებლის მიერ მიწოდებულ ახსნა-განმარტებას და ასრულებს ერთ ან ორ სავარჯიშოს. შემდეგი გაკვეთილის განმავლობაში, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ წინა გაკვეთილზე ახსნილი მასალა. დასასრულს, იგი აყალიბებს კითხვების მთელ რიგს და სთხოვს მოსწავლეებს პასუხი გასცენ ამ კითხვებს წერილობითი ფორმით. მასწავლებელი მოსწავლეს გადასცემს ინფორმაციას, მოსწავლე ამუშავებს ამ ინფორმაციას და აბარებს მას მასწავლებელს. მასწავლებელი ამოწმებს რამდენად სწორად გაიგო მოსწავლემ მასალა, და პასუხგაუცემელი კითხვების ქულათა ჯამს აკლებს მაქსიმალურ ქულას, მოსწავლის შეფასების მიზნით.

ეს არის შემაჯამებელი შეფასების ნიმუში, რომელიც მოსწრების თვალსაზრისით მოსწავლის მიღწევებზეა ორიენტირებული, და რომელიც ეყრდნობა ტესტირებას და გულისხმობს ქულების მინიჭებას. ამგვარი შეფასება სკოლებში სავალდებულოა და ემსახურება მოსწავლისთვის ნიშნის დაწერას. იგი ასევე კონტროლის ინსტრუმენტსაც წარმოადგენს, მაგრამ არა შედეგის შეფასებას, რადგან იგი ფაქტობრივად აფასებს სწავლების - როგორც ინფორმაციის გადაცემის - ეფექტურობას.

ტესტირებას და კონტროლს ბევრი მნიშვნელოვანი ნაკლოვანება გააჩნია. შეფასების კრიტერიუმები ხშირად ძალიან ბუნდოვანია იმისთვის, რომ მათი საშუალებით ცოდნის ზუსტი გაზომვა მოხდეს, ან ძალიან მკაცრია და არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს და მოსწავლეთა შორის არსებულ სხვაობას. თუ ამას თან დავურთავთ იმ პირის მიერ მოსწავლეების მიმართ გამოჩენილ სუბიექტურობასა და მიკერძოებულ დამოკიდებულებას, რომელიც მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების შეფასებას აწარმოებს, მივიღებთ ვითარებას, როდესაც ერთი და იმავე დონის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვანაირად შეფასდეს და მათგან მიღებული უკუკავშირი აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყოს მოსწავლისათვის.

მიმდინარე და პროგნოზული შეფასება

არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისას, არამედ ზოგადად, სწავლებისას, შეფასება ასევე გულისხმობს ინდივიდუალური მოსწავლისა და მისი პროგრესის შეფასებას (მიმდინარე შეფასება) და ასევე პროგნოზულ შეფასებას, ანუ შეფასებას იმისა, თუ რა შედეგებია მოსალოდნელი. შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს მოსწავლეთა თავისებურებებს და მათ ძლიერ მხარეებსა და სწავლის საჭიროებებს.

შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ავლენს ინდივიდუალური მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს, და არ გულისხმობს ამ შეცდომების გასწორებას. მასწავლებლები მოსწავლეებთან ერთად განიხილავენ სურთულეების დაძლევის გზებს და მოსწავლეები იღებენ პასუხისმგებლობას სწავლის მიმართულებით საკუთარ მიღწევებზე. ამგვარად, მიმდინარე და პროგნოზული შეფასება ემსახურება სწავლება-სწავლის დაკავშირებას დემოკრატიულ ღირებულებებთან, და საშუალებას აძლევს და ამხნევებს მოსწავლეებს, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პროცესებში და მეტ წარმატებას მიაღწიონ შემდგომ სწავლის პროცესში.

დეტალური ინფორმაცია შემაჯამებელი, მიმდინარე და პროგნოზული შეფასების შესახებ იხილეთ შემდეგ ვებ-გვერდზე:

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-3/.

შეფასების კრიტერიუმების გაზიარება მოსწავლეებისათვის

შეფასება სკოლის დემოკრატიულ ეთოსს უნდა ეხმიანებოდეს და მის ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მაშასადამე, შემაჯამებელი შეფასების კრიტერიუმები უნდა იყოს სამართლიანი და მკაფიო და, ამასთანავე, გამჭვირვალე, ე.ი. კარგად გასაგები მოსწავლეებისათვის. აღნიშნული არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებას ეხმიანება, არამედ სწავლების კარგი პრაქტიკის უცილობო წინაპირობასაც წარმოადგენს, ნებისმიერი სასკოლო საგნის სწავლებისას. გარდა ამისა, თქვენ და თქვენმა კოლექტივმა ერთად უნდა განიხილოთ და შეთანხმდეთ შეფასების მასშტაბზე, მაგალითად, უნდა მოხდეს მხოლოდ ცოდნისა და უნარების შეფასება, თუ დამოკიდებულებებისა და ღირებულებების შეფასებაც.

მასწავლებელთა თვით-შეფასება

მასწავლებლები გვერდს ვერ აუვლიან საკუთარი ინდივიდუალური ხედვის შეფასებას და იმის შეფასებას თუ როგორ ზემოქმედებს მათი ხედვა მოსწავლეების შეფასებაზე. ამრიგად, მათ უნდა გააცნობიერონ, რომ სხვადასხვა მასწავლებლების მიერ შეფასებებს შორის სხვაობა შეიძლება უსამართლო იყოს ინდივიდუალური მოსწავლისთვის. მასწავლებლები მუდმივად უნდა აკვირდებოდნენ შეფასების პროცედურებს, რომლებსაც ისინი იყენებენ, რისი მიღწევაც მარტივდება მასწავლებლებს შორის ურთიერთდაკვირვებისა და ერთმანეთთან უკუკავშირის საშუალებით. ამას გარდა, საინტერესოა ამ საკითხზე მოსწავლეებისაგან მიღებული უკუკავშირიც. არსებობს კიდევ ერთი გზა, ეს არის მასწავლებელთა თვით-შეფასება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების სახელმძღვანელოთა პირველი ტომი - განათლება დემოკრატიისათვის - მოიცავს ერთ მთლიან თავს, რომელიც ეძღვნება მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და სკოლის შეფასებას: https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/, და ასევე მოიცავს კითხვებს მასწავლებელთა თვით-შეფასებისათვის: https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-8/

სწავლა

სკოლაში არსებული სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვნების ცოდნა და გააზრება

მოსწავლეთა შორის მრავალფეროვნება გამოწვევაა თქვენი სკოლისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ გამოწვევასთან გამკლავება სათანადოდ არ წარმოებს, ეს დიდი ალბათობით აისახება მოსწავლეთა მოსწრებაზე და მომავალში მათ სოციალურ სტატუსზე. იმისათვის, რათა სკოლაში ყველა მოსწავლე წარმატების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველვყოთ, კარგად უნდა გვესმოდეს თითოეული მოსწავლის სწავლის საჭიროებები და ინდივიდუალურად უნდა შევეცადოთ მათი ამ საჭიროებების დაკმაყოფილებას. განათლებაში სამართლიანობა არ გულისხმობს ყველასთვის ერთი და იგივე ცოდნისა თუ მასალის მიწოდებას, არამედ ყველა მოსწავლისთვის მისი სწავლის საჭიროებებეთან შესაბამისი ცოდნისა და მასალის მიწოდებას.

თუმცა, თქვენ, როგორც სკოლის ხელმძღვანელი, ამას სკოლის მასწავლებლებისგან დამოუკიდებლად, და სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი დროის გარეშე, ვერ შეძლებთ. ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგიძლიათ, არის ინდივიდუალური შემთხვევების მართვაზე ზრუნვა, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ამ შემთხვევათა შესახებ ინფორმაცია პირადად მოგეწოდებათ. მეორე გამოსავალს წარმოადგენს სკოლის პერსონალის მომზადება იმისთვის, რომ მათ სათანადოდ გაართვან თავი სკოლაში არსებულ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ გამოწვევას.

როდესაც სკოლაში არსებულ მრავალფეროვნებაზე ვსაუბრობთ, ჩვენ ძირითადად ვგულისხმობთ მოსწავლეებს შორის კულტურის თვალსაზრისით არსებულ განსხვავებებს. მიჩნეულია, რომ მრავალფეროვნება, სკოლებში, ძირითადად თავს იჩენს ისეთი ფორმით, როგორიცაა მოსწავლეთა წარმომავლობა.

თუმცა ეს ვარაუდი მცდარად იქნა მიჩნეული, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ ერთი კულტურული იდენტობის მქონე მოსწავლეებს შორის უფრო მეტი განსხვავება იჩენს თავს, ვიდრე სხვადასხვა კულტურული იდენტობის მქონე მოსწავლეთა ჯგუფებს შორის. სკოლაში არსებული მრავალფეროვნება არ შემოიფარგლება მხოლოდ ეთნიკური თუ კულტურული წარმომავლობით. ერთი ეთნიკური თუ კულტურული წარმომავლობის მქონე მოსწავლეთა ჯგუფებში მრავლად ვხვდებით აკადემიური მოსწრებისა და სწავლის საჭიროებების თვალსაზრისით არსებულ განსხვავებებს.

სკოლაში ამგვარ მრავალფეროვნებასთან გამკლავებისთვის, სკოლის პერსონალი საჭიროა კარგად იყოს ინფორმირებული და საღად აღიქვამდეს პიროვნულ მახიასიათებლების, სწავლის სტილისა და მეთოდების, გენდერული, ასაკობრივი, განვითარების საჭიროებების და ა.შ. თვალსაზრისით მოსწავლეთა შორის არსებულ სხვაობებს.

მიუხედავა იმისა, რომ სასურველია ვიცოდეთ თითოეული მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული კონკრეტული საჭიროება, ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. სკოლებს არ ჰყავს სპეციალიზირებული პერსონალი, ხოლო მასწავლებლებსა და სკოლის ხელმძღვანელებს არ აქვთ დრო ამ საკითხის სრულყოფილად შესასწავლად. თუმცა, სკოლის კულტურამ ხელი უნდა შეუწყოს მრავალფეროვნებას, და მასწავლებლებმა გაკვეთილების დაგეგმვისას თუ სწავლებისას, ასევე მოსწავლეების შეფასებისას, უნდა გაითვალისწინონ კლასში არსებული მრავალფეროვნება.



სწავლა

სკოლა - სწავლაზე ორიენტირებული საზოგადოება

აქტივობა 1

ეს არის ის, რაც მე მომწონს

აღებული და ადაპტირებულია სახემძღვანელოდან „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ტომი II, *ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში*, გვ. 18, 113;

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/unit-1/lesson-1/

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/student-handout-1/student-handout-2/

მოცემული აქტივობა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში, როგორც სკოლის ყველა მასწავლებლის მონაწილეობით, ასევე მასწავლებელთა მცირერიცხოვან ჯგუფებთან მუშაობისას. აქტივობის ბოლოს წარმოებული შეჯამებისას, შესაძლებელია წარმოიჭრას კითხვები ან წამოყენებული იქნეს საკითხები, რომლებიც გამოყენებული იქნება მასწავლებელთა პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში შემდგომი თემისა და აქტივობის დასაგეგმად. იმ შემთხვევაში, თუ აქტივობაში 30-ზე მეტი მასწავლებელი მონაწილეობს, რეკომენდებულია ქვე-ჯგუფების შექმნა, რომლებიც, აქტივობის დასრულების შემდეგ, ერთობლივად განიხილავენ შედეგებს.

სწავლის მიზნები	მასწავლებლები აღმოაჩენენ, რა უნარებსა და ცოდნას ფლობენ ისინი და მათი კოლეგები, სწავლების მიმართულებით.
ამოცანები	მასწავლებლები აღწერენ და შესაბამის ჩანაწერებს აკეთებენ იმის შესახებ, თუ რას ანიჭებენ უპირატესობას და რა არჩევანს აკეთებენ სწავლებისას, ოთხ კატეგორიაში. ისინი თავიანთ პასუხებს უზიარებენ სხვა მასწავლებლებს და მსჯელობენ მათზე.
რესურსები	ფურცლები და კალმები, სამუშაო ფურცლების („რა მომწონს და რას ვაკეთებ სწავლებისას“) ასლები
მეთოდები	დამოუკიდებელი სამუშაო და ჯგუფური სამუშაო, ერთობლივი განხილვა

1. მასწავლებლების ჯგუფი ეცნობა კითხვას: სწავლების რა სხვადასხვა სტილს ვიცნობ?
2. გონებრივი იერიშისა და მოკლე პასუხიების სწრაფად შეგროვების შემდეგ, ჯგუფის წევრებს ურიგდებათ სამუშაო ფურცლები, რომლებზეც ისინი იწყებენ მუშაობას და ეს ეტაპი ორი საფეხურისგან შედგება:
   - სამუშაო ფურცლის ზედა ნაწილში მასწავლებლებმა საკუთარი პასუხები უნდა დააფიქსირონ ოთხ კატეგორიაში.
   - შემდეგ ისინი გადაადგილდებიან ოთახში და თითოეული მასწავლებელი ესაუბრება 5 სხვა მასწავლებელს, და სამუშაო ფურცლის ქვედა ნახევარში ინიშნავს მისი 5 კოლეგის პასუხებს, ასევე ოთხ კატეგორიაში.
3. შემაჯამებელი აქტივობის ფარგლებში, მასწავლებლები სხედან წრეზე. აქტივობის შედეგების შეჯამებისას შეგიძლიათ იხელმძღვანელოთ შემდეგი კითხვებით:
   - რას ფიქრობთ თქვენი კოლეგებისგან მიღებულ პასუხებზე? გაგიკვირდათ როდესაც მათი პასუხები მოისმინეთ?
   - საერთო მოსაზრებები და ტენდენცია ხომ არ იკვეთება თქვენსა და თქვენს კოლეგებს შორის იმ აქტივობებთან დაკავშირებით, რომლის გაკეთებასაც ისურვებდით, მაგრამ არ აკეთებთ?
   - რა რეაქცია ჰქონდათ კოლეგებს, როდესაც მათ შეიტყვეს იმის თაობაზე თუ რისი კეთება მოგწონთ და აკეთებთ?
   - რა რეაქცია ჰქონდათ კოლეგებს, როდესაც მათ შეიტყვეს იმის თაობაზე თუ რისი კეთება არ მოგწონთ. მაგრამ აკეთებთ?
   - რა შესაძლო პრაქტიკული დანიშნულება აქვს მოცემულ აქტივობას?

აქტივობა 2

წინ გადადგმული ნაბიჯები - სკოლისკენ, რომელიც სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოებას წარმოადგენს

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების სახლემძღვანელოთა სერიის ტომში I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 85 - 94, მოცემულია თავი, სახელწოდებით: „სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა“, რომელიც სასარგებლო თეორიულ და პრაქტიკულ ინსტრუმენტს სთავაზობს მათ, ვისაც გადაწყვეტილი აქვს სკოლა სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოებად აქციოს. სამუშაო ფურცელი 3 (გვ. 91), „სწავლებისა და სწავლის ადეკვატური ფორმების შერჩევა“, შეიცავს ამ საკითხთან დაკავშირებულ ძირითად კითხვებს: https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-4/chapter-2/lesson-3/

თითოეულ მასწავლებელს ურიგდება სამუშაო ფურცლის (სამუშაო ფურცელი 3) თითო ასლი.

1. ინდივიდუალური სამუშაო. თითოეული მასწავლებელი ეცნობა სამუშაო ფურცელზე დატანილ კითხვებს და ირჩევს სამ კითხვას, რომლებიც ეხება მისთვის საინტერესო საკითხებს.

2. ჯგუფური სამუშაო. მასწავლებლები ჯგუფურად განიხილავენ მათ მიერ ინდივიდუალურად შერჩეულ კითხვებს და ჯერდებიან სამ კითხვაზე, რომლებიც ეხება საკითხებს, რომლებიც მასწავლებელთა ჯგუფის ყველა წევრს აინტერესებს.

3. ჯგუფური სამუშაო. მასწავლებელთა ჯგუფის მიერ შერჩეულ კითხვებზე პასუხის ფორმით მასწავლებელთა ჯგუფი ქმნის პოსტერს, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მათ მიერ შემოთავაზებული ორი კონკრეტული წინადადება, რომლებიც ეხება სკოლაში, როგორც სწავლაზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესების გზებს.

სამუშაო ფურცელი

რა მომწონს და რას ვაკეთებ სწავლებისას				
	რა მომწონს და ვაკეთებ	**ვაკეთებ, მაგრამ არ მომწონს**	**არ მომწონს და არ ვაკეთებ**	**არ ვაკეთებ, მაგრამ სიამოვნებით გავაკეთებდი**
1				
2				
3				
4				
5				

რა მომწონს და რას ვაკეთებ სწავლებისას				
	რა მომწონს და ვაკეთებ	**ვაკეთებ, მაგრამ არ მომწონს**	**არ მომწონს და არ ვაკეთებ**	**არ ვაკეთებ, მაგრამ სიამოვნებით გავაკეთებდი**
1				
2				
3				
4				
5				

სწავლა

სწავლის კულტურა

სწავლის მიზნები	„სწავლის“ განმარტების შემუშავება და მისი დაკავშირება სკოლაში დემოკრატიის შესახებ სწავლასთან
ამოცანები	მასწავლებლები ერთად იმუშავებენ „სწავლის“ განმარტებას და იყენებენ მას საკლასო გარემოში გაკვეთილის ფარგლებში და საკლასო გარემოს მიღმა
რესურსები	ფურცლები და კალმისტრები, სამუშაო ფურცლები
მეთოდები	ინდივიდუალური სამუშაო, ჯგუფური სამუშაო, ერთობლივი განხილვა

მრავალფეროვნება კარგია, მაგრამ უკეთესია როდესაც მრავალფეროვნების პარალელურად ჰარმონია სუფევს. დიდი მნიშვნელობა აქვს „სწავლის“ ერთიან განმარტებაზე თანხმობის მიღწევას. ამასთან, უკეთესი იქნება თუ ამ განმარტებაში რაც შეიძლება ბევრ ასპექტს ჩავრთავთ. თქვენც, თქვენი სკოლის მასწავლებლებიც, ერთმანეთისგან განსხვავდებით და, ყველა ჩვენგანს აქვს უფლება იყოს განსხვავებული. ამ უფლების სკოლაში დემოკრატიის სასარგებლოდ გამოყენების მიზნით, თქვენ უნდა მოახერხოთ შეიმუშავოთ „სწავლის“ ერთი, ყველასთვის მისაღები, მდიდარი და ადეკვატური განმარტება.

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი IV, მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში, გვ. 162-164, https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-4/part-2/unit-6/lesson-1/

გაკვეთილი 1, „ჩვენს უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს...“, ეხება პოლიტიკური დღისწესრიგის დადგენას. შეგიძლიათ გამოიყენოთ მეთოდი სახელწოდებით „სიჩუმის კედელი“, რომელიც იქვეა აღწერილი და შეცვალოთ ძირითადი კითხვა შემდეგნაირად: „ჩემი აზრით, სწავლა არის...“, ასევე შეგიძლიათ საჭირო ცვლილებების შეტანის შემდეგ ისარგებლოთ ცხრილით, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოს 163-ე გვარდზე. მოცემული მეთოდი წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ჯგუფში, რომელიც შედგება 25-30 ადამიანისგან, თუ აქტივობაში უფრო მეტი მასწავლებელი მონაწილეობს, რეკომენდებულია მათი ქვე-ჯგუფებად დაყოფა.

იმავე სახელმძღვანელოს 164-ე გვერდზე მოცემული აქტივობა დაგეხმარებათ ჯგუფების შედგენაში, რომლებშიც გაერთიანებული იქნებიან სწავლის ასპექტების მიმართულებით ანალოგური ან მსგავსი ინტერესების მქონე მასწავლებლები. ამ გზით, თქვენ ასევე ხელს შეუწყობთ და წაახალისებთ თქვენი სკოლის მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას.

სწავლა

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელი - ევროპის საბჭო

სწავლის მიზნები	1. მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელს. 2. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ დემოკრატიული კულტურა და ინტერკულტურული დიალოგი მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ძირითად მიზანს. 3. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ სასკოლო განათლება მთავარ როლს ასრულებს მოსწავლეებში იმ კომპეტენციების განვითარების მიმართულებით, რომლებიც მათ დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის სჭირდებათ, როგორც სკოლის ფარგლებში, ასევე მომავალში, როგორც ზრდასრულ მოქალაქეებს.
ამოცანები	1. მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელში მოცემულ დაიგრამასა და შესაბამის კომენტარებს. ასევე ეცნობიან შერჩეულ თავებს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების სახელმძღვანელოდან, აცნობენ მათ შინაარს ერთმანეთს და მსჯელობენ მათზე. 1. მასწავლებლები ეცნობიან სწავლებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ, როგორც ერთიან სასკოლო მიდგომას, და მსჯელობენ მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. 1. სკოლის ხელმძღვანელთან და ხელმძღვანელის მოადგილეებთან ერთად, მასწავლებლები განიხილავენ სკოლის განვითარების გეგმას და მსჯელობენ საკუთარ სწავლისა და პროფესიული განვითარების საჭიროებებზე.
რესურსები	*თითო ასლი ყოველი მონაწილისთვის: ევროპის საბჭოს პუბლიკაცია, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები (სახელმძღვანელო).* *„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: დიაგრამა“*
მეთოდები	გუნდური სამუშაო (ასაწყობი თავსატეხის მეთოდი) მსჯელობა
კომენტარები	აუცილებელია მასწავლებლები აცნობიერებდნენ, თუ რატომ და რა მიზნით უნდა ჩაერთონ თავიანთი სკოლის, როგორც დემოკრატიული სასკოლო საზოგადოების განვითარების საქმეში. ჩვენ გთავაზობთ მთელი სკოლის კოლექტივისთვის, სკოლის ხელმძღვანელისა და ხელმძღვანელის მოადგილეების ჩათვლით, ერთი დღე გამოაცხადოთ სკოლის ფარგლებში პროფესიული მომზადების დღედ. სკოლის ხელმძღვანელს შეუძლია პროფესიული განვითარებისადმი მიძღვნილი ამ ღონისძიების ორგანიზებაზე პასუხისმგებლობა და მისი თავმჯდომარეობა შესთავაზოს მასწავლებელთა გუნდს. ამ შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელსა და სკოლის ხელმძღვანელის მოადგილეებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განვითარების მიზნით ორგანიზებულ სამუშაო შეხვედრაში. ასაწყობი თავსატეხის მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებლებს ერთმანეთთან ისაუბრონ და ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი ცოდნა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის შესახებ (ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა), რა დროსაც არ არის საჭირო სპეციალისტის მოწვევა. თითოეული მონაწილე თავის თავზე იღებს ვალდებულებას, საკუთარ კოლეგებს გააცნოს დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის,ერთი კონკრეტული ასპექტი და მოისმინოს სხვა მასწავლებლები როგორ ხსნიან ამ მოდელის სხვა ასპექტებს. ამგვარად ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა შესაძლებელია გახდეს შემდგომში დისკუსიების, პროფესიული მომზადების მიზნით გამართული სამუშაო შეხვედრებისა, ან კონკრეტული ზომებისა და ღონიძიებების გატარების საფუძველი. რეკომენდებულია სკოლის ხელმძღვანელმა მასწავლებლებთან ერთად დაგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები, სამუშაო შეხვედრის დასრულებისას.

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელის საკითხებთან დაკავშირებით, სკოლის ფარგლებში, მასწავლებელთა პროფესიული მომზადების მიზნით ორგანიზებული სამუშაო შეხვედრა

1. შესავალი (საკითხის განხილვა სრული შემადგენლობით); დაახლოებით 20 წუთი

- შეხვედრის მიზანი და ამოცანები
- დღისწესრიგი და განრიგი ეტაპები 1 – 3 (აუცილებელია დღის წესრიგისა და დროის განრიგის დადგენა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ღონისძიება სრულყოფილად წარიმართოს, მისთვის გამოყოფილ დროში), ვიზუალური მასალა (პრეზენტაცია ან მონაწილეებისათვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება) დაგეხმარებათ დროის დაზოგვაში.
- ტექნიკური მხარე (მაგ. მასალები) და ორგანიზება
- მასწავლებლები ნაწილდებიან გუნდებში, ამასთან თითოეულ გუნდში წარმოდგენილი უნდა იყოს 6 მასწავლებელი; გუნდები და მათი სივრცეში განლაგება გამოსახული უნდა იყოს დაფაზე.

2. მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელს და ერთმანეთს უზიარებენ შეძენილ ცოდნას (გუნდური სამუშაო, ასაწყობი თავსატეხის მეთოდი)

ეტაპი 2.1: დავალებების გადანაწილება გუნდის წევრებს შორის (A – G); დაახლოებით 30 წუთი

- 36 მასწავლებელი ნაწილდება 6 წევრისგან შემდგარ 6 გუნდში, გუნდები იწოდება ანბანის მიხედვით A – G. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო შეხვედრაში 72 ან მეტი მასწავლებელი მონაწილეობს, ისინი ადგენენ ცალკე ექვს გუნდიან ქსელს, ამასთან გუნდები შესაბამისად იწოდება ანბანის მიხედვით H - N. იმისდა მიხედვით, თუ რამდენი მასწავლებელი მონაწილეობს სამუშაო შეხვედრაში, გუნდები შეიძლება რიცხობრივად გაიზარდოს და ერთგუნდში 6 მასწავლებლის მაგივრად წარმოდგენილი იყოს 8 მასწავლებელი.

- მასწავლებლები ეცნობიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების მოდელში მოცემულ დაიგრამასა და შესაბამის კომენტარებს. ასევე ეცნობიან კომპეტენციათა დიაგრამას „პეპელა“, რომელიც მოცემულია სახელმძღვანელოში: დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, გვ. 11.

- გუნდის თითოეული წევრი ასრულებს მისთვის განკუთვნილ ამოცანას 1 – 6:
  1. ახსენით კულტურის ცნება (კომენტარი 6, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, თავი 3). მოიყვანეთ ინტერკულტურული დიალოგის მაგალითი თქვენი სკოლის ცხოვრებიდან.
  2. ახსენით ცნებები „კომპეტენცია“ და კომპეტენციები“ (კომენტარი 7, დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, თავი 4). მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ წარმოებს კომპეტენციათა ჯგუფის მობილიზება კონკრეტულ სიტუაციაში.
  3. ახსენით ღირებულებების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, თავი 6, გვ. 36) მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღირებულებები დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  4. ახსენით დამოკიდებულებების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, თავი 6, გვ. 39) მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამოკიდებულებები დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  5. ახსენით უნარების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, თავი 6, გვ. 44) მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნარები დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  6. ახსენით ცოდნისა და კრიტიკული გააზრების მნიშვნელობა კომპეტენციათა მოდელში (დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, თავი 6, გვ. 51) მოიყვანეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოდნა და კრიტიკული გააზრება დემოკრატიული კულტურისა და სკოლის საზოგადოებაში.
  7. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფში 6-ზე მეტი მასწავლებელია წარმოდგენილი, ამოცანის შესრულება შეუძლია ორ მასწავლებელს ერთად, წყვილში მუშაობის საშუალებით.

ეტაპი 2.2: კვლევითი ჯგუფების მომზადება (1 – 6); დაახლოებით 45 – 60 წუთი

- მასწავლებლები ნაწილდებიან გუნდებში ნომრებით 1 – 6. გუნდში # 1 წარმოდგენილები იქნებიან ის მასწავლებლები, რომლებსაც წილად ხვდათ ამოცანა # 1, და გუნდი ერთობლივად იწყებს მუშაობას ამოცანაზე. გუნდებში 2 – 6 ანალოგურად ნაწილდებიან მასწავლებლები იმ ამოცანის ნომრების

მიხედვით, რომლებიც მათ ერგოთ.

- მონაწილეები ეცნობიან მათთვის განკუთვნილ მასალას. ისინი ცდილობენ ერთად ახსნან და განმარტონ ის ელემენტები, რომლებიც შეიძლება მარტივი გასაგები არ იყოს და ამზადებენ ინფორმაციას, რომელიც მათ თავიანთი თავდაპირველი (A – G) გუნდის წევრებს უნდა გააცნონ. მათ ევალებათ მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება და არა საკუთარი მოსაზრებებისა და მსჯელობის გაზიარება.
- ყველა მონაწილეს აქვს სწავლების გამოცდილება, შესაბამისად, მათ კარგად ეცოდინებათ, რომ გუნდის წევრებისათვის განკუთვნილი ინფორმაცია მოკლე და ლაკონური უნდა იყოს, ორი მიზეზით: პირველ რიგში, აქტივობისთვის განკუთვნილი დრო გუნდის ექვსივე წევრს შორის თანაბრად უნდა გადანაწილდეს; და, მეორე ყველა ადამიანს ყურადღების ხანგრძლივობის ლიმიტი გააჩნია.

ეტაპი 2.3: პრეზენტაციები და ჯგუფური განხილვა (A – G); დაახლოებით 60 – 75 წუთი

- მონაწილეები თავთავიანთ პირველად გუნდებს უბრუნდებიან.
- ისინი თავიანთი გუნდის დანარჩენ წევრებს რიგრიგობით უხსნიან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის იმ ასპექტს, რომელიც მათ დაამუშავეს. გუნდის წევრები იცავენ რეგლამენტს, რათა უზრუნველყონ ის, რომ გუნდის ყველა წევრს მიეცეს საშუალება ისაუბროს იმ ასპექტზე, რომელიც მათ ხვდათ წილად.
- იმ შემთხვევაში, თუ დრო ამის საშუალებას იძლევა, გუნდის წევრებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები და შთაბეჭდილებები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციათა მოდელის შესახებ.

3. შეჯამება სრული შემადგენლობით; დაახლოებით 60 – 75 წუთი

- ყველა მონაწილე თავს ერთად იყრის და ისინი ემზადებიან შეჯამებისთვის.
- მონაწილეები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს: რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რას მიიჩნევენ უმნიშვნელოდ; რის შესახებ ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას; რა შეიტყვეს მათ საკუთარი კომპეტენციების შესახებ და ა.შ. მონაწილეების მიერ გამოთქმულ ინდივიდუალურ მოსაზრებებზე კომენტარი არ კეთდება და მსჯელობა არ იმართება ვიდრე არ ამოიწურება საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის მსურველები. ამის შემდეგ მონაწილეებს ეძლევათ საშუალება გააკეთონ კომენტარები და იმსჯელონ წამოჭრილ საკითხებზე.
- მონაწილეები განიხილავენ და გეგმავენ შემდგომ გასატარებელ ღონისძიებებსა თუ ზომებს, მაგალითად:
    - შეფასება: დემოკრატიული კულტურა ჩვენი სკოლის საზოგადოებაში: პერსპექტივები, ძლიერი მხარეები, სუსტი მხარეები;
    - რა წვლილის შეტანა შემიძლია, მაგ. საკუთარი მაგალითით გავაცნო მოსწავლეებს ისეთი ცნებები, როგორიცაა ინტერპერსონალური და ინტერკულტურული დიალოგი;
    - როგორ შემიძლია განხილული საკითხები ჩავრთო ჩემი სწავლების პრაქტიკაში;
    - სწავლების კონტექსტში რა ამოცანები უნდა დავსახოთ დემოკრატიული კულტურის ხელშესაწყობად?
    - რა დამატებითი ინფორმაციის მიღება გვსურს და რა საკითხებში გვჭირდება პროფესიული მომზადება?

სკოლის ხელმძღვანელი ისმენს მასწავლებლების მიერ გამოთქმულ სურვილებსა და მოსაზრებებს და შემდეგ პასუხობს მათ. შეხვედრის დასრულებამდე, სკოლს დირექტორი და მასწავლებლები თანხმდებიან შემდეგ ღონისძიებაზე ან ღონისძიებებზე, რომლებსაც ისინი ერთობლივად გაახორციელებენ.

სწავლა

სწავლება - საერთო სასკოლო მიდგომა

თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება (ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 110 https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-10/)

იმ შემთხვევაში, თუ არ მიმდინარეობს გუნდური სწავლება, მასწავლებელს მარტო უწევს კლასებთან მუშაობა. დროთა განმავლობაში, მათ შესაძლოა მექანიკური ურთიერთობა ჩამოუყალიბდეთ მოსწავლეებთან და ყურადღების მიღმა დარჩეთ მნიშვნელოვანი ნიუანსები თუ ასპექტები, რომლის ამოცნობაც დამსწრე მასწავლებელს შეუძლია. მასწავლებელს შესაძლებელია მხარდაჭერა სჭირდებოდეს საკუთარი სამუშაოს შესასრულებლად. მოსწავლეებისაგან მიღებული უკუკავშირი ყოველთვის ღირებულია, თუმცა კოლეგებისგან მიღებული უკუკავშირი უფრო მაღალი ხარისხის არის, ვინაიდან კოლეგა პროფესიული ხედვით აფასებს შესრულებულ სამუშაოს. უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლები ხშირად გაურბიან და არცთუ დიდი ენთუზიაზმით ეკიდებიან მათ მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე კოლეგების დასწრების პერსპექტივას. ქვევით მოცემული რეკომენდაციები დაგეხმარებათ გაამხნევოთ მასწავლებლები ჩაერთონ კოლეგების მიერ ერთმანეთის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაკვირვების პროცესში (იხ.ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 111 https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-11/)

ჯგუფის მოცულობა:	სამი მასწავლებლისგან შემდგარი გუნდი, კოლეგებისგან უკუკავშირის მისაღებად.
ორგანიზება:	გუნდში შემავალი მასწავლებლები ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრებიან, სასწავლო წლის განმავლობაში ორჯერ. სასწავლო წლის განმავლობაში, თითოეული მასწავლებლის ორ გაკვეთილს ესწრება ორ-ორი მასწავლებელი; თითოეულ მასწავლებელს, სასწავლო წლის განმავლობაში, უწევს დაესწროს სხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ოთხ გაკვეთილს. სამი მასწავლებელი ერთად ადგენს გაკვეთილებზე დასწრების გეგმას, არსებული განრიგის მიხედვით. გაკვეთილის შემდეგ, მასწავლებელი რომლის გაკვეთილსაც ესწრებოდნენ გუნდის წევრი სხვა მასწავლებლები, საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამს გაკვეთილის შესახებ, ხოლო დამსწრეები უკუკავშირს ამყარებენ მასთან.
სასკოლო საგანი:	მასწავლებლები ესწრებიან და აკვირდებიან ერთმანეთის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიმართულებით. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა ძირითადი საგანი მიჰყავს სკოლაში მასწავლებელს.
ჯგუფის შედგენა:	ერთ ჯგუფად გაერთიანება შესაძლებელია პირადი კეთილგანწყობის საფუძველზე, რაც ურთიერთნდობის გარანტი შეიძლება იყოს. მასწავლებლებს აუცილებლად უნდა განემარტოთ, რომ გაკვეთილის მიმდინარეობაზე მათი დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია.
სკოლის ხელმძღვანელის ფუნქცია:	სკოლის ხელმძღვანელის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს გაკვეთილებზე დასწრების სიხშირეს. სკოლის ხელმძღვანელი არ მონაწილეობს მასწავლებლების მიერ გაკვეთილების შესახებ წამოჭრილი საკითხების განხილვაში.
თემატიკა:	კითხვები, რომლებიც მასწავლებლებს ებადებათ ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებისას, შესაძლებელია უკავშირდებოდეს მასწავლებლების განსხვავებულ ინტერესებსა და დამოკიდებულებებს: ა) მასწავლებელს სურს, მოისმინოს კოლეგების კომენტარი გარკვეულ საკითხებზე, ბ) ახალი პროგრამის, მეთოდისა ან აქტივობის შეფასების საჭიროება, ან გ) შეფასდეს პედაგოგიკური პრინციპები (მაგალითად, სკოლის პროგრამაში ფორმულირებული).

სწავლა

როგორ შეიძლება ადამიანებმა ერთად იცხოვრონ?

სწავლის მიზანი	*განათლების როლის მნიშვნელობის გაცნობიერება, ინტერკულტურული დიალოგის საწარმოებლად საჭირო კომპეტენციების განვითარების საქმეში (იხ. სამუშაო ფურცელი: „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: დიაგრამა“)*
ამოცანები	*ჯგუფური სამუშაო - რესურსი: სკოლა ტყის პირას*
რესურსები	სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ტომი III, ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, გვ. 80 https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-1/unit-3/student-handout-5/
მეთოდები	როლური თამაშები, დისკუსია, ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, კრიტიკული აზროვნება

გაკვეთილის აღწერა იხილეთ შემდეგ რესურსში: სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ ტომი. III, ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, გვ. 66 – 68. https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-3/part-1/unit-3/lesson-1/

სწავლა

სწავლის დაკავშირება რეალურ ცხოვრებასთან: სწავლების მიზნები და ამოცანები

სწავლა ეფექტიანია მაშინ, როდესაც მოსწავლეს შეუძლია სწავლის შედეგების რეალურ ცხოვრებაში მიღებულ გამოცდილებასთან და საკუთარ ინტერესებთან დაკავშირება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მასწავლებლებმა გადახედონ სწავლების მიზნებსა და ამოცანებს და ეცადონ მიუსადაგონ სწავლება რეალურ სამყაროსა და რეალურ ცხოვრებას.

- ამოცანის განმარტება, მისი მიზანი და სფერო
- ერთი საგნის მასწავლებლები ქმნიან გუნდებს
- დაურიგეთ მასწავლებლებს სამუშაო ფურცლები
- მიეცით დრო მასწავლებლებთა გუნდებს, რათა შეავსონ სამუშაო ფურცლები სათანადო ინფორმაციით
- გუნდის წევრები ერთად განიხილავენ საკუთარ პასუხებს
- გუნდის წევრები მსჯელობენ და გამოყოფენ მნიშვნელოვან საკითხებს და საკითხებს ნომრავენ პრიორიტეტულობის მიხედვით
- გუნდები წარადგენენ მათ მიერ იდენტიფიცირებულ სამ ყველაზე პრიორიტეტულ საკითხს.
- შემაჯამებელი მსჯელობა შესაძლებელია წარიმართოს შემდეგ კითხვებზე პასუხების გაცემით:
  - ყველა ვთანხმდებით პრიორიტეტებზე?
  - რატომ არის გაკვეთილის მიზნები მნიშვნელოვანი, გაკვეთილის რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირების თვალსაზრისით?
  - რამდენად რელევენტურია ჩვენი სკოლისთვის კითხვარში შესული კითხვები?
  - რა ძირითადი დაბრკოლებაა გადასალახი, ამგვარი კითხვარის სწავლების ყოველდღიურ პრაქტიკაში დასანერგად?

სამუშაო ფურცელი

აღებულია შემდეგი რესურსიდან: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, ამოცანა და ძირითადი კითხვები, გვ. 67 – 68: https://www.living-democracy.com/ge/text-books/volume-1/part-2/unit-2/chapter-2/

რა მიზნების მიღწევა მსურს?	
მოცემული თემის ამოწურვის შემდეგ, რა კომპეტენციები იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი?	
რამ განაპირობა მოცემული კონკრეტული მიზნების დასახვა?	
რა პრიორიტეტს ვანიჭებ ჩემ მიერ დასახულ მიზნებს (პირველადი მნიშვნელობის თუ მეორეხარისხოვანი)?	
რა მიზნების მიღწევაა მოცემულ მომენტში მნიშვნელოვანი – მთლიანი კლასისათვის, ინდივიდუალურად მოსწავლეებისათვის, გოგონების და/ან ვაჟებისათვის?	
დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ მიერ დასახული მიზნები ემსახურება ჩემი მოსწავლეების ძირითად ინტერესებსა და საჭიროებებს?	
ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილი ესადაგება იმას, რაც ჩემს მოსწავლეებს ყველაზე მეტად აინტერესებთ?	
შესაძლებელია მოსწავლეების ჩართვა სწავლების მიზნების განსაზღვრისა და შერჩევის პროცესში?	
რა დრო (რამდენი გაკვეთილი, რამდენი კვირა) არის განსაზღვრული დასახული მიზნების მისაღწევად?	
რა მიზნები უნდა იყოს მიღწეული ყველა მოსწავლის მიერ, სწავლებისათვის განსაზღვრულ დროში (მოსწრების ძირითადი სტანდარტი)?	
საჭიროა თუ არა მოსწრების სპეციფიკური დონის განსაზღვრა ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის (სწავლება ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით)?	
ვაძლევ თუ არა მოსწავლეებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას, ანუ, შეუძლიათ თუ არა მათ დამაჯერებლად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა?	
რაზე ვამახვილებ ყურადღებას სწავლებისას – შემეცნებით, პიროვნულ თუ სოციალურ კომპეტენციებზე?	
მაქვს თუ არა ნათელი წარმოდგენა მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც ჩემი მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა ჯგუფებისათვის, ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის, გოგონებისა და ვაჟებისათვის უმთავრესი მნიშვნელობისაა?	
ნათლად და გასაგებად განვმარტე მიზნები?	

სწავლა

შემაჯამებელი და მიმდინარე შეფასება, ტესტირებისა და კონტროლის ნაცვლად

კრიტერიუმები

- სთხოვეთ მასწავლებლებს თან იქონიონ ნებისმიერი მოსწავლის შეფასება (ნიშნები, ტესტები და ა.შ.).
- მასწავლებლები ნაწილდებიან ჯგუფებში. დაურიგეთ მასწავლებლებს სამუშაო ფურცელი 1.
- მასწავლებლები ეცნობიან სამუშაო ფურცელზე დატანილ შინაარსს (ინდივიდუალური სამუშაო).
- მასწავლებლები მუშაობენ გუნდის წევრებთან ერთად, ისინი განიხილავენ თუ რომელ კრიტერიუმებს ითვალისწინებენ ყველაზე ხშირად და რომელ კრიტერიუმს არ იყენებენ.
- ისინი განიხილავენ თუ რამდენად შესაძლებელი და რამდენად მნიშვნელოვანია სამუშაო ფურცელზე 1 მოცემული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობა, მოსწავლეთა მიღწევების შეფასებისას.
- დაურიგეთ მასწავლებლებს სამუშაო ფურცელი 2.
- მასწავლებლები მუშაობენ გუნდებში და პასუხს სცემენ კითხვებს.
- მათ მიერ წარმოებულ მოსწავლის შეფასებას აანალიზებენ სამუშაო ფურცელზე 2 მოცემული კითხვების მიხედვით.
- მასწავლებლები მსჯელობენ შეფასების ძლიერ და სუსტ მხარეებზე

სამუშაო ფურცელი 1

(ადაპტირებულია შემდეგი რესურსიდან: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 103)
https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-4/

მოსწავლეების მიღწევების შეფასებისა და ქულების მინიჭების სამი განსხვავებული ძირითადი სტანდარტი არსებობს:

1. ინდივიდუალური კრიტერიუმი: მოსწავლის მიღწევის შედარება მის წარსულ მიღწევებთან.
2. ობიექტურობის კრიტერიუმი: მოსწავლის მიღწევის შედარება სწავლის მიზნებთან.
3. სოციალური კრიტერიუმი: მოსწავლის მიღწევის შედარება კლასში სხვა მოსწავლეების მიღწევებთან ან იმ ასაკობრივი ჯგუფის წევრების მიღწევებთან, რომელსაც იგი განეკუთვნება.

(დამატებითი მასალები ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე შეგიძლიათ იხილოთ: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 104) https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-5/

კრიტერიუმი	**ინდივიდუალური კრიტერიუმი**	**მიზანთან შესაბამისი კრიტერიუმი**	**სოციალური კრიტერიუმი**
შედარების კრიტერიუმი	პროგრესი სწავლაში	სწავლის მიზანი	ნორმალური განაწილების მრუდი, საშუალო არითმეტიკული გადახრა
ინფორმაცია	რა ცოდნა და უნარები შეიძინა მოსწავლემ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში?	რა დონემდე შეძლო მოსწავლემ სწავლის მიზნის მიღწევა?	საშუალო მაჩვენებლიდან რა გადახრა ფიქსირდება ინდივიდუალური პროგრესის თვალსაზრისით?
შეფასების ტიპი	ტესტები, ვერბალური შეფასება, შუალედური ანგარიში სწავლაში მიღწევის შესახებ, დაკვირვების სტრუქტურული ფორმა	მიზანზე ორიენტირებული ტესტი, შუალედური ანგარიში სწავლაში მიღწევის შესახებ, დაკვირვების სტრუქტურული ფორმა	კლასის საშუალო შედეგებზე აგებული ტესტი
პედაგოგიური მნიშვნელობა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძირითადად გამოიყენება შერჩევის წარმოებისას; არ არის ორიენტირებული მოსწავლის ხელშეწყობაზე

სამუშაო ფურცელი 2

(ადაპტირებულია შემდეგი რესურსიდან: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 105)
https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-5/chapter-2/lesson-6/

კითხვები თვით-შეფასებისთვის

მოსწავლეთა სწავლის პროცესი:

– როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ მოსწავლეებმა მიაღწიეს მიზანს?	
– სწავლის პროცესში მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდათ პროგრესი?	
– როგორია მოსწავლეების მიერ საკუთარი მიღწევების აღქმა, დარწმუნებული არიან ისინი, რომ მათ პროგრესი აქვთ ამ მიმართულებით?	
– სწავლების მეთოდი, რომელსაც მე ვიყენებ, თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს გოგონებსა და ვაჟებს?	
– მოსწავლეები შეგნებულად ეკიდებიან სწავლისა და მუშაობისას მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს, აკვირდებიან, აკონტროლებენ და ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი შედეგები?	
– სწავლის პროცესში მოსწავლეები იღებდნენ მითითებებს, რომლებიც მათ დახმარებას ითვალისწინებდა?	
– შეუძლიათ მოსწავლეებს თავად აკონტროლონ და შეაფასონ სწავლის პროცესში მათ მიერ შესრულებული ქმედებები და ამ ქმედებების შედეგები?	
– თვითშეფასების პროცესში მოსწავლეები ითვალისწინებენ თავიანთ მიზნებს, სტანდარტებს, კრიტერიუმებს ან საჭიროებებს?	
– შემიძლია აღვიქვა და შევაფასო ინდივიდუალური მოსწავლის მიღწევები?	
– როგორ ვახდენ ინდივიდუალური მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას?	
– როგორ ვაკვირდები სოციალურ ურთიერთობებს გაკვეთილის განმავლობაში?	
– როგორ ვაწარმოებ ჩანიშვნებსა და ჩანაწერებს ინდივიდუალურ მოსწავლესა და მთლიან კლასზე ჩემი დაკვირვებებისა და შეფასებების შესახებ?	
– ...	

ზოგიერთი კითხვა მასწავლებლის სწავლის პროცესთან დაკავშირებით:

– როგორ, როდის და ვისთან განვიხილავ სწავლებასთან დაკავშირებულ ჩემთვის საინტერესო საკითხებს?	
– როგორ ვუწყობ ჩემს მოსწავლეებს ხელს და როგორ განვაწყობ მათ სწავლის პროცესში ჩართულობისათვის?	
– როგორ ვუკავშირებ ჩემი მოსწავლეების წარმატებასა და წარუმატებლობას ჩემ მიერ წარმართულ სწავლების პროცესს?	
– როგორ ვაფასებ ჩემს საკუთარ მიღწევას სწავლების თვალსაზრისით და რას და როგორ ვსწავლობ მე, როგორც მასწავლებელი?	

სწავლა

ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება და სწავლა, როგორც სკოლაში ქცევითი პრობლემების პრევენცია

აქტივობა 1

სკოლის ხელმძღვანელისთვის განკუთვნილი კითხვარი თვითშეფასებისთვის, ღირებულებებისა და სკოლის შესახებ

(ეფუძნება „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“ ავტორები: ელისაბეთ ბეკმენი და ბერნარდ ტრაფორდი (2007 წ.), ძირითადი სფერო 2: **ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება – არაფორმალური გარემო, გვ. 47)**. აღნიშნული სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე და იგი შედის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების სახელმძღვანელოთა სერიაში: https://www.living-democracy.com/ge/edchre-pack/

„ერთგვაროვანი საზოგადოება, რომელსაც საერთო ღირებულებები აკავშირებს, წარსულის ჩაბარდა, თუ საერთოდ არსებობდა ოდესმე. ისტორიულად, საჯარო სწავლება ყოველთვის წარმოადგენდა იარაღს მათ ხელში, ვინც ხელისუფლების სათავეში იყო, რომლის საშუალებითაც ხელისუფლება მისდამი დაქვემდებარებულ სუბიექტებს თავს ახვევდა გარკვეულ ღირებულებებს. ეს პრაქტიკა ჯერ კიდევ ძალაშია, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებაში ღირებულებები, რომლებიც ჩვენ გვინდა რომ ჩენმა მომავალმა თაობამ შეითვისოს, ღიად არის დამკვიდრებული და დემოკრატიული პროცესების საშუალებით შენარჩუნებული“.

სკოლების დემოკრატიული მმართველობა, გვ. 42

მხოლოდ ოფიციალურ დოკუმენტებში ასახული მიზნები არაფრის მომტანია, იმ შემთხვევაში, თუ სკოლის ხელმძღვანელისა და სკოლის თანამშრომლების ყოველდღიური საქმიანობა არ ასახავს ამ დოკუმენტებში ჩადებულ პრინციპებს.

პირადი თვალთახედვა	
პირველი საფეხური: თქვენი პირადი ღირებულებები არაფერს წყვეტს. თქვენ მხოლოდ ემორჩილებით ზემდგომ ხელმძღვანელობას. ღირებულებები პრიორიტეტს არ წარმოადგენს, გარდა, სავარაუდოდ ისეთი ღირებულებებისა, როგორიცაა სტაბილურობა, წესრიგი და მორჩილება.	*სცადეთ შემდეგი:* დაუსვით საკუთარ თავს შემდეგი კითხვები: რა წარმოადგენს ჩემს მამოძრავებელ ძალას? რა ტიპის სკოლას ვისურვებდი? რა ტიპის საზოგადოება მსურს? რა ღირებულებები მინდა რომ შეითვისონ ჩემმა მოსწავლეებმა? (ან უბრალოდ დაუსვით საკუთარ თავს შეკითხვა: რატომ მსურს ვიყო სკოლის ხელმძღვანელი?)
მეორე საფეხური: თქვენ ნათელი წარმოდგენა გაქვთ იმაზე, თუ რა ღირებულებები გსურთ რომ დომინირებდეს სწავლების პროცესში და სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში. თქვენ თავისუფლად უზიარებთ თქვენ გარშემო მყოფთ თქვენს მოსაზრებებს ამასთან დაკავშირებით.	*სცადეთ შემდეგი:* განავრცეთ თქვენი მიზნები: თქვენ გსურთ, რომ მთელი სკოლა იზიარებდეს იმავე ღირებულებებს, ამისათვის არ დაიშუროთ დრო და ენერგია. შეეცადეთ, ჩართოთ მოსწავლეები, როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ გარემოში, დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და ყველასადმი პატივისცემის შესახებ გამართულ საუბრებში. მხარი დაუჭირეთ და წაახალისეთ სასარგებლო ინიციატივები.
მესამე საფეხური: თქვენ ჭეშმარიტად აფასებთ სკოლის ცხოვრებაში დამკვიდრებულ ახალ ასპექტებს, რომლებიც თავს იჩენს თქვენს სკოლაში წარმოდგენილი ფართო სპექტრის საზოგადოების წევრების ქმედებებსა და ღირებულებებში. თქვენი ჩართულობა ამ პროცესებში საუკეთესო მაგალითია როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე, სკოლის თანამშრომლებისათვის.	*სცადეთ შემდეგი:* შეეცადეთ, ყველას დაანახოთ საკუთარი მაგალითის ძალა. მასწავლებლებსა და სკოლის სხვა თანამშრომლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული საკუთარი ფუნქცია, რომელიც საკუთარი ქმედებებით მაგალითის ჩვენებაში მდგომარეობს; ასევე, მაღალკლასელი მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რომ ისინი თავიანთი ქცევით მაგალითს აძლევენ დაბალი კლასის მოსწავლეებს.

სწავლა

სწავლება როგორც დემოკრატიის საფუძველი

სწავლის მიზნები	მასწავლებლები ეცნობიან მრავალფეროვნებასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებსა და პრაქტიკას და ერთმანეთის მიმართ ავლენენ დამოკიდებულებას, როგორც გუნდის თანასწორი წევრების მიმართ. მასწავლებლები სწავლობენ მათი სკოლის საზოგადოებაში მოსწავლეებს შორის არსებულ მრავალფეროვნებას, შესვენებების დროს, მათ ქცევებზე დაკვირვების საშუალებით. მასწავლებლები აჯამებენ მათ მიერ შეგროვილ მონაცემებს და აანალიზებენ მათ. მასწავლებლები ერთმანეთთან აკავშირებენ თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების შედეგებს.
ამოცანები	მასწავლებლები ერთად იმუშავებენ „სწავლის“ განმარტებას და იყენებენ მას საკლასო გარემოსა და მის ფარგლებს გარეთ. მასწავლებლები იკვლევენ საკლასო ოთახის მიღმა, მათ სკოლაში არსებულ პირობებს. მასწავლებლები მუშაობენ სტატისტიკაზე და წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.
რესურსები	ფურცლები და კალმისტრები, სამუშაო ფურცლები
მეთოდები	დამოუკიდებელი სამუშაო და ჯგუფური სამუშაო, ერთობლივი განხილვა

მეცნიერების სხვადასხვა დარგთან დაკავშირებული სასკოლო საგნების მასწავლებლებს უჭირთ ცხოვრების წარმოსახვა მაჩვენებლებისა და მონაცემების მიღმა. მათგან განსხვავებით, ხელოვნების მასწავლებლებს უჭირთ აბსტრაქტულ მაჩვენებლებთან მუშაობა, რომლებიც, მაგალითად ცოცხალ არსებებს ეხება. ორივე შემთხვევაში, არსებობს სხვაობა სწავლის მიზნებს, ე.ი. მასწავლებლის მოლოდინსა, და რეალურ ცხოვრებას შორის, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გამოცდილებას იძენენ. მოცემული მცირე კვლევითი პროექტი, რომელიც სასკოლო საზოგადოებაში ცხოვრებას ეხება, გვეხმარება თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების პერსპექტივებს შორის კავშირის დადგენაში.

მოცემული კვლევითი პროექტის თემა აქტუალურია და მჭიდროდ უკავშირდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლებას: ჩვენი საზოგადოებები კულტურულად მრავალფეროვანია და კულტურული ჯგუფები ქმნიან უმრავლესობასა და უმცირესობებს. საზოგადოებაში არსებული მრავალფეროვნება სკოლის საზოგადოებაზეც აისახება, მოსწავლეთა მრავალფეროვნებაში. როდესაც მოსწავლეები ერთმანეთთან ურთიერთობენ, მათ შორის მიმდინარე ინტერპერსონალურ ურთიერთობას თან ახლავს ინტერკულტურული განზომილება, მაგალითად ურთიერთობა ვაჟებსა და გოგონებს შორის, თუმცა, ეს მრავალფეროვნება მხოლოდ გენდერული მრავალფეროვნებით არ შემოიფარგლება. დემოკრატიული სასკოლო საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობის არის ინტერკულტურული ურთიერთობა და დიალოგი.

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი II, „ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში“, გვ. 36 – 40, გაკვეთილებში 1 – 3 ყურადღება გამახვილებულია ინტერპერსონალურ და ინეტრკულტურულ ურთიერთობებსა და დიალოგზე, სკოლის საზოგადოებაში. გაკვეთილები განკუთვნილია მოსწავლეებისათვის. ყოველგვარი ცვლილების გარეშე შესთავაზეთ გაკვეთილებში მოცემული აქტივობები მასწავლებლებს. არ გამოტოვოთ გაკვეთილები 2 და 3. ისინი მოიცავს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევების პროცესებისთვის განკუთვნილ რეკომენდაციებს და მათში გადმოცემულია კავშირი საკლასო გარემოშე მიმდინარე ცხოვრებასა და გარე სამყაროში მიმდინარე ცხოვრებას შორის.

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/unit-3/lesson-1/

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/unit-3/lesson-2/

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/unit-3/lesson-3/

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/student-handout-1/student-handout-11/

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-2/students-manual-10/student-handout-1/student-handout-12/

ქვევით მითითებულ ბმულზე შეგიძლიათ იხილოთ სამუშაო ფურცელი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია ინტერკულტურულ დიალოგზე, როგორც დემოკრატიული კულტურის არსებით ელემენტზე, როგორც სკოლის საზოგადოებაში, ასევე ფართო საზოგადოებაში: „დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: დიაგრამა“ და/ან დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები, გვ. 19.

სწავლა

სკოლაში არსებული მრავალფეროვნების ცოდნა და გააზრება

გადადგი ნაბიჯი წინ („კომპასი“ - აქტივობა შეცვლილია მასწავლებლებისა და პედაგოგების საჭიროებებზე მორგების მიზნით)
https://www.coe.int/en/web/compass/take-a-step-forward

სწავლის მიზნები	საკლასო გარემოში არსებული მრავალფროვნების შესახებ ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის ამაღლება და სასკოლო საზოგადოებაში შესაძლებლობის მხრივ არსებული უთანასწორობის შესახებ ცნობადობის ამაღლება.
ამოცანები	მასწავლებლები ირგებენ მოსწავლეების როლს და ნაბიჯს დგამენ წინ, იმ შემთხვევაში, თუ ეთანხმებიან მოსაზრებას.
რესურსები	ღია სივრცე (დერეფანი, მოსაცდელი, ეზო), ბარათები როლური თამაშენისთვის, მუსიკა
მეთოდები	როლური თამაში, დისკუსია

- შექმენით მყუდრო გარემო წყნარი მუსიკის ფონზე, ან თხოვეთ მონაწილეებს დაიცვან სიჩუმე.
- დაურიგეთ თითო მონაწილეს თითო ბარათი, რომელზეც მათ მიერ შესასრულებელი როლია აღწერილი, და განუმარტეთ შეინახონ ისე, რომ არავინ დაინახოს მათი როლები.
- სთხოვეთ მონაწილეებს დასხდნენ (სასურველია იატაკზე) და გაეცნონ თავიანთ როლებს.
- სთხოვეთ დაიწყონ როლში შესვლა. დახმარებისთვის წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი შეკითხვებიდან რამოდენიმე, თითოეული შეკითხვის შემდეგ გააკეთეთ პაუზა, რათა მოთამაშეებს ჰქონდეთ დრო დაფიქრდნენ და წარმოიდგინონ საკუთარი თავი და ცხოვრება მოცემულ როლში: როგორი ბავშვობა გქონდათ? როგორ სახლში ცხოვრობდით? რა თამაშებს თამაშობდით? სად მუშაობდნენ თქვენი მშობლები?
- წარმოიდგინეთ თქვენი ერთი სასკოლო დღე: დილით იღვიძებთ სახლში.... მთელი დღე ... დაძინების წინ ვფიქრობ ჩემს მომავალზე, ჩემს იმედებსა და შიშებზე...
- ახლა სთხოვეთ მონაწილეებს შეინარჩუნონ აბსოლუტური სიმშვიდე და
- როგორც სასტარტო ხაზზე, ისე განლაგდნენ ერთმანეთის გვერდიგვერდ (ერთ ხაზზე).
- უთხარით მონაწილეებს, რომ აპირებთ სიტუაციების ხმამაღლა წაკითხვას. თითოეულ სიტუაციაზე, თუ მათი პასუხი არის „დიახ“, მათ უნდა გადადგან ერთი ნაბიჯი წინ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაუნძრევლად რჩებიან ადგილზე.
- წაიკითხეთ სიტუაციები სათითაოდ. წინადადებებს შორის გააკეთეთ პაუზები: მიეცით მონაწილეებს დრო ნაბიჯის წინ გადმოსადგმელად და გარშემო თვალის მოსავლებად, რათა შეადარონ საკუთარი და სხვების პოზიციები.
- საბოლოოდ, სთხოვეთ ყველას დაიმახსოვრონ თავისი პოზიციები. შემდეგ მიეცით მათ ორიოდე წუთი როლიდან გამოსვლისათვის, ვიდრე შეიკრიბებოდეთ შედეგების ერთად შესაჯამებლად.
- შემაჯამებელი მსჯელობისას დასვით შემდეგი კითხვები და იმსჯელეთ შემდეგ საკითხებზე:
  - როგორი შეგრძნება გეუფლებოდათ ერთი ნაბიჯით წინ წაწევის ან ადგილზე დარჩენის დროს?
  - რა მომენტში შეამჩნიეს მათ, ვინც ხშირად დგამდა ნაბიჯს წინ, რომ სხვები მათ ჩამორჩენ?
  - დარჩა ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება, რომ იყო მომენტები, როდესაც მათი ძირითადი უფლებების უგულვებელყოფა ხდებოდა?
  - რამდენად ძნელი, ან იოლი იყო ამა თუ იმ როლის შესრულება?
  - როგორი წარმოუდგენიათ მათ ის ადამიანი, ვის როლსაც ასრულებდნენ?
  - შეუძლიათ მონაწილეებს გამოიცნონ ერთმანეთის როლები? (დისკუსიის ამ ეტაპზე ნება დართეთ მონაწილეებს გაამჟღავნონ თავიანთი როლები)
  - ასახავს თუ არა ნაწილობრივ მაინც სავარჯიშო სკოლის საზოგადოებაში არსებულ რეალობას? როგორ?
  - რა ნაბიჯი შეიძლება გადაიდგას სკოლის საზოგადოებაში უთანასწორობის წინააღმდეგ?

რჩევები ხელმძღვანელებს

თუ ამ სავარჯიშოს შენობის გარეთ ატარებთ, დარწმუნდით, რომ ყველა მონაწილეს ესმის თქვენი ხმა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჯგუფი დიდია. შესაძლოა დამხმარე პირებიც დაგჭირდეთ თქვენი განცხადებების ყველა მონაწილემდე მისატანად.

თამაშის დასაწყისში, წარმოსახვის ეტაპზე, შესაძლოა ზოგიერთმა მონაწილემ განაცხადოს, რომ ძალიან ცოტა რამ იცის იმ ადამიანის ცხოვრების შესახებ, ვისი როლიც უნდა შეასრულოს. აუხსენით, რომ ამას არა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, მათ შეუძლიათ საკუთარი ფანტაზიის გამოყენება და როლის შეძლებისდაგვარად კარგად შესრულება.

ამ აქტივობის არსი იმაში მდგომარეობს, რომ თვალნათლივ ჩანს მონაწილეების შორის მანძილის ზრდა, განსაკუთრებით თამაშის ბოლოს, როდესაც დისტანცია ძალიან დიდია მათ შორის, ვინც ხშირად გადადგა ნაბიჯი წინ და ვინც ადგილზე რჩებოდა. ამ ეფექტის გასაძლიერებლად მნიშვნელოვანია როლების ადაპტირება ისე, რომ აისახოს მონაწილეების ცხოვრების რეალობები. ამავე დროს, ამის გაკეთება ისე მოახერხეთ, რომ მხოლოდ მინიმალური რაოდენობის მონაწილეებს ჰქონდეთ ნაბიჯის წინ გადადგმის საშუალება (ანუ "დიახ" პასუხის გაცემის საშუალება). ეს წესი უნდა დაიცვათ მაშინაც, როდესაც დიდ ჯგუფთან მუშაობთ და ბევრი როლების გამოგონება გიხდებათ.

ანალიზისა და შეფასების დროს მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, საიდან იცოდნენ მონაწილეებმა იმ პერსონაჟის შესახებ, რომლის როლიც შეასრულეს. ეს მათი პირადი გამოცდილების შედეგი იყო, თუ ინფორმაციის სხვა წყაროების გავლენა (ახალი ამბები, წიგნები და ანეკდოტები)? დარწმუნებული არიან, რომ ის ინფორმაცია, რაც პერსონაჟების შესახებ გააჩნიათ საიმედოა? ამ გზით თქვენ შეგიძლიათ აჩვენოთ, როგორ მკვიდრდება ცნობიერებაში სტერეოტიპები და ცრუ წარმოდგენები.



სამუშაო ფურცელი

თქვენ თქვენივე სკოლის მათემატიკის მასწავლებლის შვილი ხართ	**სკოლის რამდენიმე მასწავლებელი დედათქვენის სალონში დადის რეგულარულად**
მამათქვენი სასულიერო პირია	**თქვენ ფილიპინელი ემიგრანტის ქალიშვილი ხართ**
თქვენ ამ ქვეყანაში ინდოეთიდან ჩამოხვედით შვიდი წლის წინ	**თქვენი მშობლები არქიტექტორები არიან**
მამათქვენს, რომელიც პროფესიით ექიმია, სურს რომ თქვენც ექიმი გამოხვიდეთ	**თქვენი მშობლები საფეიქრო ქარხანაში მუშაობენ**
თქვენ ოჯახში 5 ბავშვიდან ყველაზე უფროსი ხართ და მამათქვენი ადგილობრივ მერიაში მუშაობს	**თქვენი მშობლები ღრმადმორწმუნეები არიან**
თქვენ ღარიბი პაკისტანელი ემიგრანტის შვილი ხართ	**მამათქვენი ფეხსაცმლის დიდი მაღაზიის მფლობელია**
თქვენი მშობლები უკვე ექვსი თვეა უმუშევრები არიან	**თქვენი მშობლები განქორწინებული არიან და სასამართლოში თქვენს მეურვეობაზე დაობენ**
დედათქვენი მარტოხელა დედაა	**თქვენი მშობლები უკვე 6 წელია რაც განქორწინებულები არიან. დედათქვენი ისტორიის მასწავლებელია**
თქვენი ოჯახი აშშ-დან ჩამოვიდა ამ ქვეყანაში საცხოვრებლად. აქ უკვე ერთი წელია რაც ცხოვრობთ	**თქვენ ხართ ბოშათა ოჯახიდან და სკოლიდან 20 წუთის სავალ მანძილზე ბოშათა ბანაკში ცხოვრობთ**
მამათქვენი ამ ქვეყანაში გერმანიის საელჩოში მუშაობს	**თქვენ შშმ პირი ხართ და გადაადგილება მხოლოდ ინვალიდის ეტლით შეგიძლიათ**
თქვენი მშობლები ებრაელები არიან და ოჯახში პირველი ვაჟი ხართ	**მამათქვენი ქარხანაში მუშაობს, დედათქვენი უმუშევარია**

სწავლა

დასაწყისში თუ დასასრულს: ჩემი პირადი განათლება

მოცემული აქტივობა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს როგორც პირველი აქტივობა რომელიც წინ უძღვის ამ რესურსში მოცემულ ყველა აქტივობას, ან როგორც დასკვნითი აქტივობა. ერთადერთი, რაც ამ შემთხვევაში იცვლება არის ის, რომ შეჯამებას ექნება ან ქმედებათა სერიის დაწყების ფორმა ან დასკვნის ფორმა.

სწავლის მიზნები	საკუთარ თავზე მეტი ინფორმაციის მიღება, განათლების უპირატესობები და ნაკლოვანებები
ამოცანები	მასწავლებლები იკვლევენ, აგნებენ და განიხილავენ თუ როგორ სწავლობდნენ მთელი ცხოვრების მანძილზე, რის სწავლას აგრძელებენ დღესაც, რა აინტერესებთ განსაკუთრებით და რა უნარებს ფლობენ და ა.შ..
რესურსები	სამუშაო ფურცელი სახელმძღვანელოდან „ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში“ ტომი 1 გვ. 60
მეთოდები	ინდივიდუალური სამუშაო, ერთობლივი განხილვა

- დაურიგეთ სამუშაო ფურცლის ასლები ყველა მასწავლებელს.
- მიეცით მათ რამდენიმე დღე, რათა იმუშაონ დამოუკიდებლად და სათანადო ინფორმაციით შეავსონ სამუშაო ფურცელი, და დათქვით შემაჯამებელი შეხვედრის თარიღი და დრო.
- შეთანხმებულ თარიღსა და დროზე, მასწავლებლები იკრიბებიან და ერთმანეთს უზიარებენ თავიან მოსაზრებებს და მსჯელობენ მათზე. მასწავლებლებს შეუძლიათ თავიდან იმუშაონ ჯგუფებში და შემდეგ მოაწყონ ერთობლივი განხილვა, ან პირდაპირ ერთობლივ განხილვას შეუდგნენ, რომლის დროსაც ისინი შემდეგ საკითხებზე მსჯელობენ:

- სწავლისა და პროფესიული მომზადების საჭიროებები, მაგალითად, პედაგოგიური გამოცდილება, სწავლების მეთოდები, სწავლის პროცესების სიღრმისეული შესწავლა
- მასწავლებლების მიერ გამოყენებული გაიდლაინების ერთმანეთთან შედარება და განხილვა
- ყოველდღიური სამუშაოს შესრულებისას სტრესის შესამცირებელი და ეფექტიანობის გასაუმჯობესებელი ზომები
- სწავლისა და სწავლების მნიშვნელობაზე და სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობა.

კონტექსტის მიხედვით, აღნიშნული აქტივობა ემსახურება სამომავლო მოქმედებებისათვის გეგმების დასახვას, იმ მასალების გათვალისწინებით, რომლებიც წინამდებარე რესურსშია მოცემული, ან იმ ქმედებებისა და ღონისძიებების შეფასებას, რომლებიც უკვე გატარდა და ახალი ნაბიჯების დაგეგმვას.

სამუშაო ფურცელი (ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ტომი I, განათლება დემოკრატიისათვის, გვ. 60)

https://www.living-democracy.com/ge/textbooks/volume-1/part-2/unit-1/chapter-2/lesson-2-2/

როგორ გამოვიყენოთ ჩვენი პროფესიული უნარები და ცოდნა

• **რა ზოგად გამოცდილებას, უნარებსა და ცოდნას ვფლობ?**
• **რამდენად საკმარისია ჩემი ცოდნა შესწავლის საგანთან და მის შინაარსთან დაკავშირებით, სწავლის მიზნებთან, სწავლების შესაბამის მეთოდებთან და სწავლის პროცესთან დაკავშირებით?**
• **რა სფეროებში ვისურვებდი ჩემი ცოდნის გაღრმავებასა და უნარების დახვეწას (ცოდნა, სწავლების მეთოდები, პროფესიული უნარები, პიროვნული მახასიათებლები, რეჟიმი და ა.შ.)?**
• **ადამიანისათვის დამახასიათებელი რომელი თვისებაა ჩემთვის მთავარი და მამოძრავებელი, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ?**
• **რომელ თეორიულ ჩარჩოებში ვაქცევ ჩემს მუშაობას მასწავლებლის რანგში, ან თეორიის რა გამარტივებულ ვარიანტს ვიყენებ პედაგოგიური მოღვაწეობისას?**
• **როგორ აღვწერდი და დავახასიათებდი ჩემს ურთიერთობას მოსწავლეებთან?**
• **სად გადის ჩემი პიროვნული ზღვარი, სამუშაო საათებთან, დაძაბულ ვითარებაში მუშაობასთან და ა.შ. დაკავშირებით? როგორ ვიყენებ ჩემს პირად სამუშაო შესაძლებლობებსა და უნარებს?**
• **როგორ შევამსუბუქო სამუშაო დატვირთვა როგორც სამუშაოს, ასევე, გასახორციელებელი ქმედებების ორგანიზებითა და უკეთესი დაგეგმვით?**
• **როგორ და რამდენად ეკონომიურად ვიყენებ დროს და როგორ ვუმკლავდები სტრესის გამომწვევ ფაქტორებს?;**